

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - რუსუდან ჰაქსაძე

ანოტაცია

მოსწავლეები სწავლობენ როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. სწავლების ორივე ფორმის მონაცვლეობით გამოყენება უფექტიანს ხდის სწავლების პროცესს.

ჩოჩხათის საჯარო სკოლაში ჩატარდა პედაგოგიური კვლევა, რომლის მიზანი იყო საბაზო საფეხურზე სასწავლო ვიზიტის მეთოდის გამოყენება და ამ მეთოდით მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

კვლევის დროს გამოყენებული იყო კვლევის მეთოდები - რაოდენობრივი და თვისობრივი; დაიგეგმა ინტერვენციები და გაანალიზდა მონაცემები; შეფასდა განხორციელებული ინტერვენციები და დადგინდა, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას საბაზო საფეხურზე ხელს უწყობს მასწავლებლის მიერ დაგეგმილი, სწორად ორგანიზებული სასწავლო - შემეცნებითი ღონისძიებები, ვიზიტები. სკოლა, მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეს მისცეს ხარისხიანი განათლება, მოამზადოს მომავალი ცხოვრებისათვის, გამოუმუშავოს ახალგაზრდებს ისეთი უნარ - ჩვევები, რომ მომავალში ისინი გახდნენ კონკურენტუნარიანები, შეეძლოთ პირისპირ დადგნენ მსოფლიოს გამოწვევების წინაშე. მასწავლებელმა ამისათვის სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და ხერხები უნდა გამოიყენოს; მათ შორის ერთერთი საუკეთესო მეთოდია სწავლებაში სასწავლო ვიზიტების, ექსკურსიების გამოყენება.

საკვანძო სიტყვები - სასწავლო ვიზიტების გამოყენება, ცოდნის დონის ამაღლება, თანამშრომლობითი საქმიანობა.

თავი I.

შესავალი

1.საკვლევი თემის სათაური - სწავლება საბაზო საფეხურზე სასწავლო შემეცნებითი ვიზიტების გამოყენებით

2.სარჩევი

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზნები და ამოცანები - გვ. 3

1.1.კვლევის საკითხის განსაზღვრა და პრობლემის აქტუალობის დასაბუთება - გვ.3

1.1.ა. საკითხის აქტუალობა მოსწავლეთათვის - გვ. 5

1.1.ბ.საკითხის აქტუალობა მასწავლებლებისათვის (კოლეგებისათვის) - გვ.6

1.1.გ.საკითხის აქტუალობა ჩემთვის, როგორც საგნის მასწავლებლისთვის - გვ. 6

1.2.კვლევის მიზანი - გვ. 7

1.3. კვლევის ამოცანები - გვ. 7

თავი II. პრაქტიკული კვლევის არსი

პრობლემა და საკვლევი საკითხის ანალიზი - გვ. 8

თავი III. ლიტერატურის მიმოხილვა - გვ.9

თავი IV. კვლევის დიზაინი

4.1.კვლევის სამიზნე ჯგუფი - გვ. 19

4.2.კვლევის მეთოდები - გვ. 19

4.3.კვლევის ვადები - გვ. 20

4.4.საკვლევი კითხვები - გვ. 22

თავი V. კვლევის შედეგები - გვ. 23

5.1. პირველადი დაკვირვების შედეგები - გვ. 23

5.2. მონაცემთა ანალიზი - გვ. 23

5.3.კვლევის მიზნები - გვ.29

5.4.შესაძლო ინტერვენციები - გვ. 31

5.5.განხორციელებული ცვლილებები - გვ. 34

თავი VI. რეკომენდაციები და ინტერვენციები

6.1.რეკომენდაციები - გვ. 36

6.2.ინტერვენციის შეფასება - გვ. 36

თავი VII. დასკვნა

7.1.გამოყენებული ლიტერატურა - გვ. 38

7.2.დანართები - გვ. 40

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის -

რუსუდან ჰაქსადის მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშს.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. I თავში მოცემულია ინფორმაცია საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები. II თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს და სკოლაში მის დანერგვას. III თავში მოცემულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები არაფორმალური სწავლებისა და ექსპურსიის, როგორც ერთერთი სასწავლო მეთოდის გამოყენების შესახებ. IV თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის განხორციელების ვადებს; V თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს. VI თავში განხილულია ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები. VII თავში დასკვნის სახით აღწერილია კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები. კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფიები და დანართები.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. კვლევის საკითხის განსაზღვრა და პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში, მოსწავლეთა სწავლების ხარისხსა და შედეგებზე დაკვირვებით იკვთება, რომ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში იღებენ ძირითადად ცოდნას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ცოდნის გამოყენება და ისეთი უნარების ფლობა, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგებათ. უნარების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ცოდნის გამოყენება, ამიტომ მასწავლებელმა თავის საგანში დიდი ყურადღება უნდა გაამახვილოს ამაზე, რათა სასწავლო გეგმითა და ზემოთ - ით დასახულ მიზნებზე გავიდეს. მნიშვნელოვანია მაღალი სააზროვნო უნარების - ანალიზის, სინთეზის, შეფასების, ასევე კომუნიკაციისა და საკუთარი შესაძლებლობების დახვეწის ჩვევებზე მუშაობა. ყოველივე ამის გაკეთება მხოლოდ საკლასო სივრცეში ჩატარებული საგაკვეთილო პროცესით არ არის შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მაქსიმალურად ვცდილობ გამოვიყენო სწავლების განსხვავებული მეთოდები და სტრატეგიები, მრავალფეროვანი რესურსები, აქტივობები, შევნიშნე, რომ მოსწავლეები სასწავლო მასალას უმეტესწილად სწავლობენ მოვალეობის მოხდის მიზნით და თვით საუკეთესო მოსწავლეებიც კი არ უღრმავდებიან თემას, უჭირთ წინა წლებში ნასწავლი მასალების გახსენება და მასწავლებლის დაჟინებული მოთხოვნის გარეშე არ უკავშირებენ ახალ მასალას, ცხოვრებისეულ რეალობას; არ ცდილობენ ემპათიით მიუდგნენ პერსონაჟების ქმედებებს, წაიკითხონ ტექსტები სათანადო ინტონაციით, მოხერხებულად, მეტი დამაჯერებლობით შევიდნენ როლში და სწორად

გამოხატონ პერსონაჟის გრძნობები მხატვრული კითხვის დროს; უჭირთ საგანთშორისი კავშირების დამყარება; ხშირად მოსწავლეები, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მხატვრულ ტექსტში მოცემულ სიუჟეტებს აღიქვამენ, როგორც რეალურ სიტუაციებს, ფაქტს, რომელსაც მწერალი შეესწრო და აღწერა. მათთვის გაუგებარია ის, რომ მხატვრული ტექსტი არის მწერლის ფანტაზია და მასში სიუჟეტის აღქმასთან ერთად მკითხველმა ხელოვნების ნიმუში უნდა დაინახოს. რომ ლიტერატურაც ხელოვნების ერთერთი დარგია. მოსწავლეებს უმცროსი კლასებიდანვე უნდა ავუხსნათ, რომ მხატვრული ტექსტები იქმნება კონკრეტული ადამიანებისაგან, ვისაც ამისი ნიჭი და უნარები აქვს. ამ უნარების გამომუშავება, სწავლაც შეიძლება. ამისათვის კი მოწოდება, კითხვა, დაკვირვება, ვარჯიში არის საჭირო. რა თქმა უნდა, მუზაც სჭირდება, რომელიც შეიძლება გასვლითმა ღონისძიებებმა შთააგონოს ბავშვს.

პედაგოგიური პრაქტიკის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს მოსწონთ ექსკურსიები, გასვლითი ექსპედიციები, ლაშქრობები; ოღონდ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს „ გასვლებიც“ მათთვის არის მხოლოდ სასკოლო გარემოდან დროებითი „მოცილება“ და არა საქმიანი პროცესი. როგორც ვიცით, სწავლების ძირითადი პროცესი მიმდინარეობს ჩვეულებრივ საკლასო გარემოში, რუტინულ სიტუაციაში. აქ ბავშვები ნაკლებად არიან ინციატივიანი, 21-ე საუკუნის ადამიანი კი უნდა იყოს ინციატივიანიც, სიახლეების მოყვარე და კრეატიული. განსხვავებული გარემო, სწავლებისათვის გამოყენებული განსხვავებული რესურსი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, თემით დაინტერესებას, გააქტიურებას.

- ჩემ მიერ შერჩეული თემა აქტუალურია სწავლა - სწავლების პროცესის გაუმჯობესების, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის; თემის აქტუალობას ადასტურებს მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა **PISA** და მისი კვლევები. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავს შეაფასოს 15 წლამდე მოზარდების მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარები. ეს ის ასაკია, როცა მოსწავლეები თითქმის ასრულებენ სავალდებულო განათლების კურსს. შესაბამისად, PISA ამოწმებს მათ მზაობას, გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რომლებიც სკოლაში მიიღეს.

PISA-ს მიზანს არ წარმოადგენს, შეამოწმოს, თუ რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა უშუალოდ სკოლის პროგრამა, არამედ მიმართულია განსაზღვროს, რამდენად კარგად არიან მოსწავლეები მომზადებულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და სრულფასოვანი ჩართულობისათვის. აქტუალურია არა მარტო მკვლევარი მასწავლებლებისათვის, არამედ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

თემის აქტუალობაზე აგრეთვე მეტყველებს ესგ - სა და ზგემ -ის მოთხოვნები, რომელიც აღწერს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სასურველ შედეგს - „ შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის მოპოვებისა და იმ უნარ-

ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდება”.

სწორედ ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, მოსწავლემ საბაზო საფეხურზე სწავლის პროცესში აქტიურად ჩაერთოს არაფორმალურ სწავლებაში და გამოიმუშაოს ინფორმაციის მოძიების, გაანალიზების, გამოყენების, ასევე ადამიანებთან კომუნიკაციის, ჩართულობის უნარი. ეს ყველაფერი კი სასკოლო ასაკში ხდება.

1.1.ა. აქტუალობა მოსწავლეთათვის

• შევძლებთ არაფორმალურ სწავლებაში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას, ეს კი მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი თვისებებისა თუ მიდრეკილებების გამოსავლენად და გასავითარებლად;

მისცემს გამოცდილებაზე დაყრდნობით ისწავლონ, გაიმჯობესონ აკადემიური და სოციალური უნარები არა მარტო ფორმალურ სიტუაციაში, საკლასო ოთახში ჩვეულებრივ გაკვეთილებზე, არამედ სკოლის გარეთ, არაფორმალურ სიტუაციაში.

• მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ თემები, კონცეფციები განიხილონ არა იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად, არამედ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

• მოსწავლეები შეძლებენ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენას, უფრო საინტერესო თემებზე/საკითხებზე მუშაობას, ექნებათ არჩევანის საშუალება და არ შეაწუხებთ იმაზე ფიქრი, რომ დავალების შეუსრულებლობა რაიმე ნეგატიურ შედეგს გამოიღებს - მიიღებს ცუდ ნიშანს ან დაიმსახურებს უარყოფით კომენტარს.

• მოსწავლეებმა გაიმჯობესებენ თვითსწავლის ჩვევებს, დახვეწენ იმის უნარს, რომ მუდმივად განვითარდნენ უკეთესი შედეგების მისაღწევად.

• ისწავლიან თვითმართვას - საკუთარი საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის უნარს, ასევე დროის გამოყენებას და გაფრთხილებას;

• გაიგებენ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას, როგორც ცოდნის წყაროს; საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი, გარემო შეიძლება ახალ - ახალი ცოდნის მიღების საშუალებად იქცეს გარკვეულ სიტუაციაში.

1.1.ბ. აქტუალობა მასწავლებელთათვის (კოლეგებისათვის)

- არაფორმალური სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უფრო მეტად დააახლოვებს მასწავლებლებს ერთმანეთთან, ისწავლიან თანამშრომლობას, საერთო საქმის კეთებას, ერთმანეთის თანადგომას, ურთიერთდახმარებას.

- სხვადასხვა საგნის მასწავლებელს შეეძლება თავისი საგნის სპეციფიკას მოარგოს არაფორმალური სწავლების რომელიმე აქტივობა და გამოიყენოს რობორც საგანთშორისი კავშირებისთვის, ისე თავისი საგნის რომელიმე ან რამდენიმე თემის შესწავლისას მიღებული ცოდნის გასაუმჯობესებლად.

- არაფორმალური სწავლება საუკეთესო საშუალებაა კონსტრუქტივისტული სწავლებისათვის.

- კარგად დაგეგმილი აქტივობა მასწავლებელს დაეხმარება, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი კომპეტენტურობა, გამოიყენოს პიროვნული, პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და განწყობა-დამოკიდებულებები;

- მასწავლებელი შეძლებს სწავლებაში დიფერენციაციის მეთოდის გამოყენებას - სწავლების აქტივობისა და ინდივიდუალური სასწავლო საჭიროების შეჯერებას.

- ხელს შეუწყობს მიზნის მისაღწევად ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებასა და მოსწავლის სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

1.1.გ. აქტუალობა ჩემთვის, როგორც საგნის მასწავლებლისთვის

კვლევა საშუალებას მომცემს, დავხვეწო კვლევის უნარები, სწორად გავიაზრო ჩემს კლასებში არსებული პრობლემები და არაფორმალური სწავლების გაუმჯობესების შედეგად შევძლო სასწავლო პროცესის, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესება, დახვეწა, სწავლების მეთოდების გაუმჯობესება და უფრო მაღალი შედეგების მიღწევა.

გავაუმჯობესო სწავლისა და სწავლების პროცესი, გავხადო უფრო ეფექტიანი, მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული, მამოტივირებელი და სახალისო. მოვიძიო და სასწავლო მიზნებისათვის სწორად გამოვიყენო განსხვავებული სასწავლო გარემო - ანუ ლოკაციის ადგილი, რომელიც განკუთვნილია ეფექტიანი სწავლებისა და სწავლისათვის. ასევე შესაფერისი აღჭურვილობა, სივრცე, ადგილი, რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სწავლებისა და სწავლისათვის საუკეთესო პირობების შექმნას.

1.2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია 1.ექსპურსიის, როგორც სასწავლო რესურსის ეფექტიანობის დადგენა საბაზო საფეხურზე ქართული ლიტერატურის სწავლებისას წარმოჩენილი პრობლემების მოსაგვარებლად;

2. მოსწავლეების ხელშეწყობა, შესაფერისი სასწავლო გარემოს, განსხვავებული რესურსების გამოყენება ეფექტური სწავლებისათვის.

მნიშვნელოვანია, კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნას არაფორმალური სწავლების რომელი აქტივობა გამოიყენება სასწავლო პროცესში და რა სიხშირით, რა სარგებლობა მოაქვს ან რა არის არაფორმალური სწავლების ერთერთი მეთოდის - ექსკურსიის ხშირი გამოყენებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი. კვლევის ფარგლებში აუცილებელია, გამოვიკვლიო არაფორმალური სწავლების გამოყენების საშუალებები მეცნიერულ დონეზე, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს არსებული ლიტერატურის დეტალურ დამუშავებას საკვლევ საკითხთან მიმართებაში. საჭიროა, დაისახოს ინტერვენციები და შეფასდეს გამოყენებული ინტერვენციების შედეგები.

1.3. კვლევის ამოცანები

- დაკვირვება ფორმალური და არაფორმალური სწავლების გამოყენების ფორმებსა და მის შედეგებზე;
- პრობლემის გადაჭრის გზების ძიება;
- მონაცემების შეგროვება სამიზნე ჯგუფებში;
- მონაცემების კოდირება და ანალიზი;
- შედეგებისა და დასკვნების პრეზენტაცია.

თავი II პრაქტიკული კვლევის არსი

პრობლემა და საკვლევ საკითხის ანალიზი;

საკვლევ საკითხის მთავარი პრობლემის განსაზღვრაში დამეხმარა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. კერძოდ, პირდაპირ მეთოდებში ვგულისხმობ სამიზნე ჯგუფების გამოკითხვებსა და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოკვეთილ საჭიროებებს; ხოლო არაპირდაპირ მეთოდად - ჩემი და სხვა კოლეგების პედაგოგიური გამოცდილება.

პრობლემის გაანალიზებამ და სათანადო ლიტერატურის გაცნობამ მიმახვედრა, რომ სწავლების საუკეთესო საშუალებაა, როცა ერთდროულად ვიყენებთ სწავლების ფორმალურ და არაფორმალურ საშუალებებს. ფორმალური სწავლება თუ ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში ხდება, არაფორმალური სწავლება გვხმარება გაგვეთილების შედეგად მიღებული ცოდნის განმტკიცებასა და ძნელად მისაღწევი მიზნების განხორციელებაში.

აქედან გამომდინარე, დგება გადასაჭრელი პრობლემა - როგორ დავუკავშირო ერთმანეთს ფორმალური და არაფორმალური სწავლების მეთოდები ისე, რომ ხელი შევუწყო ჩემი საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებას, რაც თავისთავად დამეხმარება ესგ -ის მოთხოვნების

მიღწევაში? რამდენად დამეხმარება ექსკურსიები და გასვლითი ღონისძიებები ლიტერატურის გაკვეთილებზე დასახული მიზნების მიღწევაში? მაგალითად, მოსწავლეებს დავუსვთ რამდენიმე შეკითხვა ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. მათ აღარ ახსოვდათ ელემენტარული მონაცემები, ვერ ამოიცნეს მწერლების ფოტოები, ვერ ერთმანეთში აერთათ ნაწარმოებები და მათი გმირები, რომლებიც წაიკითხეს რამდენიმე თვის ან წლის წინ. აის მიზეზად ასახელებდნენ იმ ფაქტს, რომ გარკვეული დრო გავიდა ამ ტექსტების წაკითხვის ან შესწავლის შემდეგ.

დაკვირვებამ მიჩვენა ისიც, რომ მოსწავლეთა თხრობის პროცესი გაკვეთილებზე იყო მდარე, უემოციო, უჭირდათ პერსონაჟის დახასიათება, პიროვნული თვისებების გამოკვეთა. თვით საუკეთესო მოსწავლეებთანაც კი შეინიშნებოდა საგნისადმი გულგრილი დამოკიდებულება, სწორედ ის სინდრომი, რომელსაც მასწავლებლები ხშირად არქმევენ სახელს - „სწავლა ნიშნისათვის“.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გაანალიზების შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ კარგი იქნებოდა ფორმალური და არაფორმალური სწავლების ერთმანეთთან შერწყმა. კერძოდ, ქართულ ლიტერატურაში რომელიმე მწერლის შესწავლის წინ ან შემდგომ ამავე მწერლის სახლ - მუზეუმის მონახულება, ექსკურსიის სახით. ეს ექსკურსია კი არ უნდა ყოფილიყო მოსწავლეებისათვის მოულოდნელი, არამედ წინასწარ დაგეგმილი და მათთან ერთად მომზადებული, შემეცნებითი ხასიათის ვიზიტი. კვლევაზე მუშაობის მიმდინარეობას დაემთხვა ის ფაქტი, რომ სკოლის მოსწავლეები ერთერთი მასწავლებლის ინიციატივით წავიდნენ ექსკურსიაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებასა და ჯუმათის ეკლესიის დასათვალიერებლად. ერთერთი მოსწავლე, რომელიც ხშირად აცდენდა გაკვეთილებს და არ დასწრებია არც მონაცემთა შეგროვებისათვის გაკეთებულ ტესტირებას, არც ექსკურსიისათვის მზადების პროცესს, ვერ დავითანხმეთ იმ წესებზე, რომლებიც მოსწავლეებს გავაცანით მნიშვნელოვანი ძეგლების მონახულებისათვის(დანართი - ექსკურსიაზე მოქცევის წესები); გარდა ამისა, მშობელმა ჩათვალა, რომ თავის შვილი ცალკე უნდა წაეყვანა მანქანით და მოსწავლეებთან ერთად მგზავრობა არ იყო საჭირო. გზაზე მოსწავლეებს ვესაუბრებოდით, რამდენიმე ადგილას შევყოვნდით და ვიდრე ექსკურსიის მთავარ პუნქტამდე მივედით, ისინი ჩვენამდე მივიდნენ, „შემოიარეს“ სანახავი ადგილი და უკან გამობრუნდნენ. მათ იცოდნენ ისიც, რომ სანახაობის დათვალიერების შემდეგ ვაპირებდით ერთად სადილობას. აქაც არ მოისურვეს ჯგუფთან ერთად ყოფნა და ჩვენგან მოშორებით ჩამოსხდნენ. აქედან გამოვიტანეთ ის დასკვნა, რომ მშობელი და მოსწავლე მნიშვნელოვნად არ თვლიდნენ კლასის სხვა წევრებთან თანამშრომლობას, არც გიდის მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს, არც იმ საუბრებსა და დამატებით აქტივობებს, რომელსაც ვგეგმავდით ერთად მოსწავლე - მასწავლებლები შემეცნებითი თვალსაზრისით. მათთვის ექსკურსია იყო მხოლოდ გართობა, დათვალიერება.

თავი III. ლიტერატურის მიმოხილვა

ვიდრე პრობლემის კვლევას დავიწყებდეთ, გავეცანი შესაბამის ლიტერატურას. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ თემასთან დაკავშირებით წავიკითხე, იყო „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, რომელშიც თავის მხრივ ცალ-ცალკე არის ჩამოყალიბებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა“ და „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოთხოვნები“.

აი, რას გვავალდებულებს „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“:

„საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.“

...,საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) დამოუკიდებლად ცნობრება, გადაწყვეტილების მიღება:

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები“

გავეცანი „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დოკუმენტში“ ნათლად არის ჩამოყალიბებული მასწავლებლის მოვალეობანი:

„მუხლი 3. დ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

თავი III

სწავლება და შეფასება

მუხლი 5. სასწავლო გარემო

მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. ამ

მუხლი 6. მოტივაცია და კომუნიკაცია

ბ) იცის, როგორ გაუღვივოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებული დამოკიდებულება;

მუხლი 7. სასწავლო პროცესი

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით;

მუხლი 9. სწავლების სტრატეგია და მეთოდები

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის. ამ მიზნით:

ა) მასწავლებელი ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;

ბ) მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში;

თავი IV

პროფესიული გარემო

გ) მასწავლებელმა იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები სასწავლო რესურსების მოძიების მიზნით; “

„მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსიც” არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ კუთხით:

მუხლი 4. მოსწავლეებთან ურთიერთობა

8. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.”

არაფორმალური სწავლების გაანალიზებისათვის ძალზე საგულისხმოა ნაშრომები, რომლებიც თარგმნილია უცხოური ენებიდან და ცნობილია სახელწოდებით - „როგორ ვასწავლოთ აზროვნება”.

მოვიძიე და წავიკითხე „სწავლების მეთოდებსა და ხერხებზე“ ინტერნეტსივრცეში განთავსებულ მრავალფეროვან მასალებს.

პარალელურად ვეცნობოდი არაფორმალური სწავლების მეთოდებისა და ხერხების, ექსკურსიის, როგორც სასწავლო მეთოდის გამოყენების მაგალითებს სხვადასხვა მასწავლებლის საქმიანობაში, გავესაუბრე კოლეგებს როგორც ჩემი სკოლის, ასევე სხვა რამდენიმე სკოლიდან.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ექსკურსია განმარტებულია, როგორც -

1. „excursio- "სვლა", "ლაშქრობა";
2. კოლექტიური დათვალიერება რისამე; გამგზავრება, გასეირნება სასწავლო, სამეცნიერო, სპორტული ან გართობის მიზნით”.

საკვლევ მასალაზე მუშაობაში მნიშვნელოვნად დამეხმარა ინტერნეტის საშუალებით მოძიებულმა მასალამ:

<https://www.wvi.org/sites/default/files/TEORIA.pdf>

მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი, ჟანა კვაჭაძე,
რუსუდან ლორთქიფანიძე, ნათია გაჩეჩილაძე

სასწავლო აქტივობები ყველასათვის

„მეხუთე თავი

მაია ბაგრატიონი - გრუზინსკი

ამ სტატიაში განხილულია არაფორმალური სწავლების მნიშვნელობა და დადებითი ეფექტები სასწავლო-სააღმწოდებლო საქმიანობაში.

„როგორც არაერთხელ აღინიშნა, თანამედროვე განათლების მიზანია მოზარდისთვის იმ ცოდნის გადაცემა და უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მას მოამზადებს დამოუკიდებელი, წრდასრული ცხოვრებისათვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს

სასწავლო გარემოს, სადაც ხდება/მოხდება აღნიშნული ცოდნის გადაცემა. ფსიქოლოგიისა და განათლების სპეციალისტებისთვის კარგად ნაცნობი ფაქტია, რომ კომპეტენციის გამომუშავება იმ გარემოში უფრო ეფექტურად ხდება, სადაც მისი გამოყენება მოგვიანებით იგულისხმება. შესაბამისად, ხშირად, სწავლა-სწავლება იმ რეალურ, ბუნებრივ და

არაფორმალურ კონტექსტშია გამართლებული, სადაც ამ ცოდნის თუ უნარის რეალიზება მოხდება. ამ შეხედულებას მხარს უჭერს შემდეგი ერთმანეთზე გადაჯაჭვული მტკიცებულებები: ბუნებრივ გარემოში სწავლა წრდის მოზარდის მოტივაციას და დაინტერესებას დასასწავლი საკითხების მიმართ, რადგან მისთვის ნათელი ხდება, თუ რატომ არის აღნიშნული საკითხების შემეცნება მნიშვნელოვანი. თუ მოზარდი ბუნებრივ გარემოში იოლად პოულობს პასუხს კითხვებზე - „რისთვის მჭირდება ამის სწავლა?“, „რაში

გამომადგება ეს ცოდნა?“- ის ხედავს შექმნილი ცოდნის დანიშნულებას და ინტერესდება ცოდნის დაუფლების პროცესით. ბუნებრივ გარემოში სწავლისას მოზარდისთვის სასწავლო საკითხი თვალსაჩინოდ და რეალურად არის მოცემული. შესაბამისად, სასწავლო აქტივობაზე მუშაობისას მას არ სჭირდება წარმოსახვაზე დაყრდნობა, სიმულაცია. საკითხი ნათლად არის მოცემული, არსი გასაგებია და მოზარდისთვის სასწავლო პროცესი უფრო წარმატებულია. ბუნებრივ გარემოში სწავლისას მცირდება ერთ გარემოში ათვისებული ცოდნის სხვა კონტექსტში ტრანსფერთან დაკავშირებული სირთულეები. თუმცა, ცოდნის ბუნებრივ გარემოში მიღება არ გამოირიცხავს მის სხვადასხვა ცვალებად კონტექსტში გამოყენების წახალისების აუცილებლობას - იმისათვის, რომ ის საბოლოოდ განმტკიცდეს. ბუნებრივ და არაფორმალურ გარემოში სწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოზარდებისთვის, რომლებსაც აქვთ ნეგატივიზმი და პროტესტი სტრუქტურირებულ და ორგანიზებულ სასწავლო კონტექსტში მიზანმიმართული სასწავლო პროცესისადმი; არაფორმალურ გარემოში მოსწავლეს მეტი თავისუფლება აქვს, რაც მიმზიდველობას სძენს სწავლას. ხშირად სასწავლო პროცესში ამგვარი ჩართულობა მისთვის იმპლიციტური რჩება, მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევას აბსოლუტურად ცხადად აღიქვამს და მიზანმიმართულადაც მუშაობს მასზე. ბუნებრივ და არაფორმალურ გარემოში მეტია კეთებით სწავლის და გამოცდილებით სწავლის შესაძლებლობა, რაც აღიარებულია სწავლა-სწავლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფორმად. სწავლა პრაქტიკული გამოცდილების მიღების გზით უკეთეს წარმოდგენას ქმნის შესასწავლ საკითხზე, მის არსსა და გამკლავების შესაძლო გზებზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში წახალისებულია სასწავლო პროცესი, რომელიც სცილდება სკოლისა და კლასის სივრცეს და მრავალფეროვან ბუნებრივ კონტექსტში ხორციელდება.”

ჩემთვის საინტერესო იყო „საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების” სახელმძღვანელო, II ეტაპი, და მასში მოცემული საკითხავი მასალა თემაზე - „როგორ გამოვიყენოთ ადამიანური და ფიზიკური რესურსები სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად” (გვ.58).

სადაც წერია: „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენების დროს, ძალზე მნიშვნელოვანია, ბავშვებს მივცეთ შესაძლებლობა გამოცდილებაზე დაყრდნობით ისწავლონ. ასეთი მეთოდების გამოყენებისას გათვალისწინებული უდა იყოს მოსწავლეებში არსებული ცოდნა, რომელიც უნდა ააგოს პირადი გამოცდილების საფუძველზე. გამოცდილებას ბავშვი იძენს როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ.

...მოსწავლეების გარეთ გაყვანას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მათ გაიღრმავონ და განიმტკიცონ წიგნებიდან მიღებული ცოდნა. ეს არის საშუალება, რომელიც განამტკიცებს და უფრო ნათელს გახდის იმ ინფორმაციას, რომლებიც მოსწავლეებმა შეიძინეს კლასში.”

ამავე სტატიაში ნათლად არის აღწერილი, თუ როგორ უნდა მოხდეს სკოლისგარეთ ორგანიზებული სწავლებისათვის მზადება:

„სწავლება სკოლის გარეთ:

„ როდესაც სკოლის გარეთ საქმიანობას გეგმავს მასწავლებელი, მან თავის თავს უნდა დაუსვას შეკითხვა: რა შედეგს ელის მოსწავლეებისაგან ამ გამოცდილების მიღების შემდეგ?

იმისათვის, რომ ასეთი სასწავლო ღონისძიებები იყოს ღირებული, ძალზე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა წინასწარ კარგად დაგეგმოს მოსამზადებელი სამუშაოები. მას სჭირდება იცოდეს, თუ რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა ამა თუ იმ სიტუაციიდან და მისცენ კონკრეტული დავალება მოსწავლეებს - მაგალითად: გასცენ კითხვებს პასუხი, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და სხვა.

როდესაც მოსამზადებელ პერიოდზე ვმუშაობთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ მკაფიოდ გვესმის:

- ჩვენი სასწავლო ამოცანები;
- სასწავლო რესურსის გამოყენების კავშირი სასწავლო ამოცანებთან;
- კავშირი მოსწავლეთა ცოდნასა და გამოცდილებასთან;
- კავშირი იმასთან, რასაც მოსწავლეები ამჟამად საგანში სწავლობენ;
- რა მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს კლასში; • გვაქვს თუ არა შესაბამისი მასალები და რესურსები - ჩამწერები, საწერი და სახატავი მასალა, კამერა;
- განსაზღვრული აქვს თუ არა, რა დრო სჭირდება ამა თუ იმ ამოცანის გადასაწყვეტად, ან კვლევის ჩასატარებლად;
- რა დავალებები უნდა მიეცეთ მოსწავლეებს სახლში და შემდეგ კლასში.

ადგილობრივი გარემო

როდესაც გვინდა, რომ ადგილობრივი გარემო გამოვიყენოთ სწავლის პროცესში, წინასწარ უნდა განვსაზღვროთ, სასკოლო საგნის შესაძლებლობები. მაგალითად, ადგილობრივი საზოგადოება, მშობლები, ბებია - ბაბუები, ადგილობრივი მერი, რელიგიის წარმომადგენელი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც რესურსი ისეთი საგნების სწავლებისას, როგორც ისტორია, რელიგია, სამოქალაქო განათლება, ლიტერატურა.

მოსწავლეებს შეუძლიათ ისტორიული მოვლენები, ლიტერატურული მონათხრობები უფრო კარგად დაინახონ, თუ შეისწავლიან ახლომდებარე ეკლესიებს, შენობებს, მუზეუმებს და სხვა საინტერესო ადგილებს. რა თქმა უნდა, მათთვის სასარგებლო იქნება, თუ გადახედავენ ადგილობრივ

ჩანაწრებს და მიიღებენ ინფორმაციას ადრინდელი და თანამედროვე საზოგადოების შესახებ. ისინი დაინახავენ, რა ცვლილებები განიცადეს ადგილობრივმა საზოგადოებამ.

საინტერესო ადგილების დასათვალიერებლად ექსკურსიის ორგანიზება იდეალური ვარიანტია, როდესაც მასწავლებელი წინასწარ დაათვალიერებს ადგილს და მოამზადებს ყველა იმ საჭირო აღჭურვილობასა და საშუალებებს, რომლებიც დაეხმარება გარე სასწავლო საქმიანობის სწორად წარმართვაში. ექსკურსიამდე მასწავლებელი შეიძლება გაესაუბროს იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არიან დასათვალიერებელ ადგილებთან: მუზეუმის კურატორი ან გიდი, ან სულაც ისინი, ვინაც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე და შეუძლიათ ისაუბრონ მათ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე. “

- შესაძლებელი კავშირების გამოვლენა სკოლასა და საზოგადოებას შორის.

- რესურსების მოძიება და შეთანხმებული გამოყენება

ინტერნეტში არაერთი საინტერესო სტატია წავიკითხე ექსკურსიების მოწყობასა და ამ მეთოდით სწავლების ეფექტიანობაზე. მათ შორის:

<http://mastsavlebeli.ge/?p=2278>

ექსკურსია როგორც სასწავლო ღონისძიება

27 აგვისტო, 2013 მანანა ბოჭორიშვილი

„ ყოველგვარი ექსკურსია შეიცავს სწავლების ელემენტს, ამიტომ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პედაგოგიური პროცესი. ფაქტია, ექსკურსია არ არის ლექცია, გაკვეთილი, სემინარი. მიუხედავად ამისა, როგორც ყოველგვარ პედაგოგიურ პროცესში, ექსკურსიაშიც მონაწილეობს ორი მხარე: ის, ვინც ცოდნას გადასცემს (ასწავლის) – ექსკურსიამძღვარი – და ის, ვინც ცოდნას იღებს (სწავლობს) – ექსკურსიანტი.“

სტატიის ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ „პედაგოგიური პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია ორივე მხარის აქტიურობაზე. კარგად, გააზრებულად ჩატარებულ ექსკურსიას შეუძლია ბიძგი მისცეს აზროვნების გააქტიურებას, გარე სამყაროს უკეთ გაცნობას.“

ეროვნული სასწავლო მიზნების გათვალისწინება და ინტეგრირება მოზარდის აღზრდისა და განათლების პროცესში ძალზე მოხერხებულად შეიძლება განხორციელდეს ექსკურსიების პროცესში.

ამისათვის მთავარია, სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების, მათი საჭიროებებისა შესაძლებლობის გათვალისწინებით კარგად დავგეგმოთ ექსკურსია; წავახლისოთ მოზარდის თანამონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში, დავალებებს შევძინოთ მნიშვნელოვანი სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულება.“

დაგეგმილი

მოსწავლე ახალ მასალას სწავლობს კითხვით, მოსმენით, დაკვირვებით, მსჯელობითა და კეთებით. სწავლის პროცესი ახალი ინფორმაციის ათვისებას, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შექმნას გულისხმობს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლე ახალ მასალას ეტაპობრივად ითვისებს. მეცნიერთა კვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანი ახალ ინფორმაციას განსხვავებულად შეიმეცნებს: წაკითხულის – 10%, მოსმენილის – 20%, ნანახის – 30%; ხედავს ვიზუალურ მასალას (ფილმს, სტენდს, თვალსაჩინოებას) და ამავე დროს ისმენს ახსნა-განმარტებას – 50%; თუ თვითონ საუბრობს ან მსჯელობს მასზე, რაც მოისმინა და წაიკითხა (დისკუსია, პრეზენტაცია) -70%; ასრულებს ლაბორატორიულ სამუშაოს, სავარჯიშოებს, მიმართავს სიმულაციასა და როლურ თამაშებს, ახალ ინფორმაციას უკავშირებს პირად გამოცდილებას – 90% [Museum. Ge გვ. 2-3]..

მუზეუმი არის უსაზღვრო შესაძლებლობების ადგილი თვალსაჩინოებითი სწავლებისა და მოსწავლეთა ჩართულობისათვის. საგამოფენო სივრცეში შეგიძლია დაათვალიერო ახალი ექსპოზიცია, ნახო ფილმი, ინტერაქტიული მონიტორები, სტენდები, ხელით შეეხო ასლებსა და მულაჟებს, ეს არის კომფორტული, სასიამოვნო და უჩვეულო გარემო. „მუზეუმმასაგანმანათლებლო ფუნქცია მსოფლიო სივრცეში 1951 წლის იუნესკოს სემინარზე მიიღო. რამდენიმე წლის შემდეგ კლივლენტის ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შერმან ლიმ თქვა: „დღევანდელ სამყაროში, რომელიც სავსეა ვიზუალური გამოსახულებებით... მუზეუმი განათლების მიღების უმთავრესი წყარო ხდება. მხოლოდ თავისი არსითაც კი – ხელოვნების ნიმუშების შენახვითა და გამოფენით – მუზეუმი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ამ სიტყვის საუკეთესო და ყველაზე ფართო გაგებით“. დღეს, როდესაც სულ უფრო მეტი აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ფაქტების მშრალ ცოდნასა და გაზეპირებაზე, არამედ შემოქმედებითი უნარის განვითარებაზე, კიდევ უფრო იზრდება მუზეუმის როლი ჩვენს ყოფიერებაში. სწავლა თამაშით, შემეცნება შეხებითა და შექმნით – ეს და სხვა თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდები მუზეუმს უფრო სახიერსა და მიმზიდველს ხდის [თამარ კიკნაძე. გვ. გვ. 30.31].”

„ დეტალურად დაწერეთ გაკვეთილის გეგმა და განსაზღვრეთ სამუშაო დრო.

§ საჭიროა მოსწავლეებისა და მშობლების დაინტერესება სამუზეუმო სწავლების მეთოდოლოგიის უპირატესობაში. შეადგინეთ ბუკლეტი, რომელშიც განსაზღვრავთ მიზანსა და შედეგს.

§ მუზეუმის სივრცის გათავისებაში საწყის ეტაპზე განახორციელეთ სხვადასხვა პროექტი, მათ შორის Intel-ის პროგრამა. დაგეგმილი პროექტით მიდიხართ მუზეუმში. მოსწავლეები შეარაღებული არიან საწერი და სახატავი მასალით, ფოტოაპარატით. დაიცავით სამუზეუმო შინაგანაწესი. ექსპონატისფოტოგადაღებისას არ შეიძლება ცხელი ნათება, რომელიც მხატვრული ნიმუშის დაზიანებას გამოიწვევს.

§ საგაკვეთილო ან პროექტის გეგმის განხორციელებისას მოსწავლეები ეცნობიან კონკრეტულ ექსპოზიციას, რომელიც თემატურია თქვენს პროგრამასთან მიმართებით. დანარჩენი სამუზეუმო სივრცე ამ შემთხვევაში თქვენი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს, რადგან სხვა დარბაზები მომავალი გაკვეთილისა თუ პროექტისათვის გამოგადგებათ. სამუშაო დროსაც ეფექტურად გამოიყენებთ და არ დაიკარგება მოსწავლეთა შემეცნების ხარისხი.

§ თქვენი გაკვეთილისა თუ პროექტის თემის მიზანი შეთანხმებული უნდა იყოს მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრთან, რომელსაც შეგიძლიათ გააცნოთ თემა. მუზეუმის თანამშრომლები გაგიწევენ კონსულტაციას, როგორ შეიძლება დაგეგმოთ გაკვეთილი ისე, რომ მოსწავლეთა აქტიურობა იყოს შემოქმედებითი, მრავალფეროვანი და ესგ-ზე მორგებული. მსგავსი ურთიერთთანამშრომლობით კონტაქტი დამყარდება სკოლასა და მუზეუმს შორის.

§ სასწავლო პროგრამა ისე გაანაწილეთ, რომ შეიცავდეს სახალისო შემეცნებით დეტალებს, როგორც თამაშებს.

§ თანამედროვე მუზეუმს დიდი როლი აკისრია ინკლუზიურ განათლებასა და მარგინალურ ინტეგრაციაში. სწავლა შედეგიანია, თუ პროცესი ინტერაქტიულია. საქართველოს ეროვნულ მუზეუმს აქვს დანერგილი პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთათვის. § სამუზეუმო სივრცე შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა კონფერენციის ჩასატარებლად.

ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ინიციატივასა და შემოქმედებით საქმიანობაზე. შედეგს მალე დაინახავთ. VI კლასის მოსწავლეებისთვის ხელოვნების საგანში მოვამზადეთ პროექტი „ეკვიპტის ხელოვნება“. წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით მოსწავლეების ერთ-ერთი სამუშაო დავალება”.

<http://mastsavlebeli.ge/?p=13450>

როგორ ვაქციოთ ექსკურსია საინტერესო სასკოლო აქტივობად, პროფესიონალი გიდის რჩევები

9 მარტი, 2017 დიანა ანფიმიადი

„როგორ ვარჩევთ მარშრუტს წინასწარ:

ა. დაფაზე ვკიდებთ საქართველოს რუკას და ზედ ფერადი ჭიკარტებით მოვნიშნავთ, სად ვართ უკვე წამყოფი. უკვე მონახულებული ადგილები მაშინვე არ გამორიცხვოთ, ჯერ ჰკითხეთ ბავშვებს, რა იციან ამ ისტორიული ძეგლისა თუ ადგილის შესახებ, რა უნახავთ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იმ ადგილის ხელახლა დათვალიერება ბევრი ახალი ინფორმაციის მომცემია. თუ ჭიკარტებით მონიშნული ადგილების შესახებ ყველაფერი უკვე გარკვეულია, ექსკურსიის მარშრუტი რუკის თავისუფალ ადგილებში მოვნიშნოთ, ანუ იქ, სადაც ჯერ არ ვყოფილვართ.

ბ. მოსწავლეებს ვაკვალეებთ მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია მოიძიონ, შესაძლოა, ამ ყველაფერს პრეზენტაციის სახეც მივცეთ, როდესაც ექსკურსიდან დავბრუნდებით, ჩვენს პრეზენტაციებს ახალი ინფორმაციით გავამდიდრებთ.

გ. ვადგენთ ექსკურსიის განრიგს, როგორი თამაშები გვინდა, რა უფრო გვინტერესებს, თუ კლასში შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი გვყავს, მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ექსკურსია მოსწავლისთვის მაქსიმალურად კომფორტული იყოს.

2. მარშრუტი შედგენილია, ექსკურსია დაგეგმილი, ვაგვარებთ ტრანსპორტის, კვების და სხვა საორგანიზაციო საკითხებს და ვთანხმდებით ექსკურსიის თარიღზე.

3. ნებისმიერი ისტორიული თუ ბუნების ძეგლი, სოფელი, ეკლესია, ქალაქი თუ ნაქალაქარი ხშირად არა მხოლოდ ისტორიულ მოვლენას თუ თარიღს უკავშირდება, არამედ ზეპირ ისტორიას, ლეგენდას, თქმულებას თუ მითს. ასეთი ამბები ბავშვებს განსაკუთრებით აინტერესებთ. წინასწარ მოძებნეთ ასეთი ლეგენდები.

2. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ არამატერიალური კულტურის ძეგლები, ისეთი, როგორცაა ენა, დიალექტი, რომელიმე კერძი, ყოფა-ცხოვრების წესი. ამიტომ, ადგილობრივებთან გასაუბრების გარეშე ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი გამოგვჩვენებს და ჩვენი მოგზაურობაც მთავარს- აღმოჩენების სიხარულსა და სიამოვნებას დაკარგავს.

ნუ მოაკვლევთ მოსწავლეებს ასეთ შთაბეჭდილებებს. შესაძლოა, რამდენიმე წინადადება, რომლითაც ადგილობრივი მოსახლე გზას მიგასწავლით, უფრო მეტი ინფორმაციის შემცველი იყოს, ვიდრე მთელი სტატია ინტერნეტში.

5. არ შეუშინდეთ ფეხით სიარულს, ისტორიული ნანგრევების ახლოდან ნახვას, გორაკზე თუ ძველ ციხე-კოშკზე აცოცებას, რასაკვირველია, სიფრთხილე მნიშვნელოვანია, მაგრამ ექსკურსია ხომ შეგრძნებები და შთაბეჭდილებებია.

6. ბუნების წიაღში მხიარული თამაშები, ბურთი, ბადბინტონი ან ჩოგბურთი შესანიშნავად დაავირობებს თქვენს ექსკურსიას.

7. ექსკურსია, როგორც სასკოლო აქტივობა, თავის ლოგიკურ დასასრულს საკლასო ოთახში იპოვის, სადაც მიღებულ ინფორმაციას დაამუშავებთ, განიხილავთ, დისკუსიას გამართავთ და იქნებ საუკეთესო ფოტოგამოფენაც მოაწყობთ.”

9. http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_25.html

საინტერესოდ არის შედგენილი საექსკურსიო პროგრამა პედაგოგთა დასახმარებლად, რომელიც „მორგებულია ალ.ჭავჭავაძის წინანდლის სახლ - მუზეუმში ვიზიტს, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება სხვა ღირსშესანიშნაობების მონახულებისას”.

„ საექსკურსიო სასწავლო გეგმის გამოსაყენებლად სასურველია ექსკურსიის დაგეგმვა მოხდეს მასწავლებლებისა და მოსწავლეების აქტიური თანამშრომლობით. ამ შემთხვევაში. ყველა აქტივობას, რომელიც აქ არის აღწერილი სჭირდება წინასწარ, ექსკურსიამდე მომზადება. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს თუ სად იქნება ექსკურსია და რა აქტივობების შესრულებაა დაგეგმილი. ასევე მასწავლებელს დასჭირდება მოსწავლეების გაფრთხილება იმ მასალების შესახებ, რომლებიც მათ შესაძლოა ექსკურსიაზე, ექსკურსიის წინ ან შემდეგ დასჭირდეთ.

საექსკურსიო აქტივობები ხშირად რამოდენიმე საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირებას ახდენს (მაგ. ქართულის და ისტორია-გეოგრაფიის ან ბუნებისმეტყველების). ამის გამო, შესაძლოა მაქსიმალური ეფექტი ამ აქტივობების დაგეგმვისას სხვადასხვა საგნის მასწავლებლის შეთანხმებულმა მუშაობამ გამოიღოს.“

შერჩეულ თემასთან დაკავშირებით წავიკითხე სხვადასხვა სახელმძღვანელო:

1.<http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/studentis-saxelmzgvanelo-saeqskursio-saqme.pdf>

სსიპ) - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ნიკო კვარაცხელია, საექსკურსიო საქმე, სახელმძღვანელო გიდის სპეციალობის V საფეხურის

საზოგადოებრივი კოლეჯებისათვის, თბილისი 2015

2. <http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/eqskursiis-momzadeba-eqskursiis-chatareba.pdf>

პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების, ხელშეწყობის პროგრამა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მოდულური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები: ექსკურსიის მომზადება, ექსკურსიის ჩატარება მასწავლებლის გზამკვლევი, 2014

ყველა ზემოთ დასახელებული ლიტერატურა და მათი მკვლევარები მიუთითებენ ექსკურსიის მნიშვნელობასა და დადებით მხარეებზე.

თავი IV. კვლევის დიზაინი

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი:

საბაზო საფეხურის მოსწავლეები;

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები;

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მასწავლებლები;

მუზეუმების თანამშრომლები.

4.2. კვლევის მეთოდები

მეთოდოლოგია- კვლევის მეთოდები

| | | | | | | | | | | |
|--|--|---|---|---|--|---|---|---|---|---|
| კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება | | ✓ | | | | | | | | |
| პ ე დ ა გ ო გ ე ბ ი ს მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვა | | | ✓ | ✓ | | | | | | |
| მ უ ზ ე უ მ ი ს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი ს გ ა მ ო კ ი თ ხ ვ ა / ინტერვიუების აღება | | | | | | ✓ | ✓ | | | |
| მეორადი მონაცემების შეგროვება და ანალიზი | | | | | | | ✓ | | | |
| მიღებული შედეგების გაანალიზება | | | | | | | | ✓ | | |
| ს ა ვ ა რ ა უ დ ო ინტერვენციების დაგეგმვა | | | | | | | | ✓ | | |
| ინტერვენციების განხორციელება | | | | | | | | ✓ | ✓ | |
| ინტერვენციის შედეგების ანალიზი | | | | | | | | | ✓ | ✓ |
| პრეზენტაცია, მასალის კათედრაზე განხილვა | | | | | | | | | | ✓ |

4.4. საკვლევი კითხვები

კვლევისათვის ჩამოვაცალიბე საკვლევი კითხვები:

მთავარი კითხვა: სწავლების რა განსხვავებული მეთოდები და ხერხები გამოვიყენო ლიტერატურულ ნაწარმოებებში დასმული პრობლემატიკის უკეთ გასააზრებლად.

ქვეკითხვები:

1.რა მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებას გვთავაზობენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად კომპეტენტური ადამიანები, ქართველი და უცხოელი მეთოდისტები?

2.რაში ხედავენ ჩემი კოლეგები ამ პრობლემის მოგვარების გზებს?

3. შეუძლიათ თუ არა რაიმე დახმარების გაწევა, მხარდაჭერა ამ პრობლემის მოგვარებაში მოსწავლეთა მშობლებს?

4. მზად არიან თუ არა ჩემი მოსწავლეები ჩემთან ერთად სცადონ ამ პრობლემის მოგვარება?

5. როგორ შეიძლება გამოვიყენო არაფორმალური სწავლება, კერძოდ პროექტები და ექსკურსიები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად?

6. როგორ დავგეგმო და განვახორციელო ეს აქტივობები უფრო ეფექტური სწავლების მისაღწევად?

7. რა მამოტივირებელი ფაქტორები გამოვიყენო ამ მეთოდების გამოსაყენებლად?

თავი V კვლევის შედეგები

5.1 პირველადი დაკვირვების შედეგები

ლიტერატურის გაანალიზებამ და სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის შედეგებმა მიჩვენა, რომ სწავლების სხვადასხვა მეთოდებს შორის ერთერთი საუკეთესო საშუალება იყო ექსკურსიების ორგანიზება მნიშვნელოვან ადგილებში იმიტომ რომ:

1. მოსწავლეები ვიზიტების დროს ნანახს დაუკავშირებდნენ გაკვეთილებზე წასაკითხ ტექსტებს და რა თქმა უნდა, გაუადვილებოდათათ მასალის გაგება - გააზრება;

2. დაამყარებდნენ საგანთ შორის კავშირებს;

3. აიმაღლებდნენ მოტივაციას სწავლისდმი;

4. ითანამშრომლებდნენ ერთმანეთთან და მასწავლებლებთან, რაც კლასის „შეკვრის“ ტოლერანტობის, მეგობრობის საფუძველს შექმნიდა.

5. თვალსაჩინოდ ნახავდნენ დაკვირვების ობიექტს, შეისწავლიდნენ გარემოს, რეალურ ვითარებაში შეძლებდნენ ცოდნისა და უნარების მიღებას.

გასაგები გახდა ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას ექსკურსია მნიშვნელოვან მეთოდად მიაჩნია, მაგრამ დამაფიქრებელია მონაცემები იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა უმრავლესობამ არ იცის იმ წესებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც ექსკურსიასთან არის დაკავშირებული; ასევე არ იციან, როგორ და რატომ უნდა დაიგეგმოს წინასწარ ექსკურსია. გასვლითი ღონისძიებისათვის მარტო ტრანსპორტის, მგზავრობის ხარჯებისა და საკვების მომზადება არ არის საკმარისი. ეს მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, როგორცაა დაკვირვების ობიექტის შესახებ მასალების მოძიება, დამუშავება, სამიზნე ადგილას გასართობი და შემეცნებითი აქტივობების მომზადება, დროის,

პასუხისმგებლობების გადაწვევა, სხვა დამატებითი რესურსების - საკანცელარიო ნივთების, ფოტოაპარატების თუ სხვა ნივთების მომარაგება.


გამოკითხვების შედეგებმა მიჩვენა ისიც, რომ მოსწავლეებს მართალია ჰქონდათ გასვლითი ღონისძიებების მოწყობის სურვილი, მაგრამ არ ჰქონდათ არანაირი გამოცდილება გეგმის შედგენისა, ანუ რა აქტივობები დაგეგმვა და განხორციელება შეიძლებოდა მათ მიერ, რა მოვალეობები გააჩნდათ, ან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ექსკურსიის დროს. ისინი ფიქრობდნენ, რომ გასვლის მიზანი მხოლოდ სანახაობის პასიური დათვალიერება და გართობა იქნებოდა.

5.2. მონაცემთა ანალიზი

ტესტირებითა და ფოკუს ჯგუფებში სულ გამოკითხული იქნა 13 მოსწავლე, 10 მშობელი, 8 მასწავლებელი, და შვიდი სხვადასხვა მუზეუმის თანამშრომელი:

1. ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი;
2. ფირცხალაიშვილის სახელობის გურიის შემოქმედ ადამიანთა მუზეუმი;
3. ქალაქ ბათუმის ხელოვნების მუზეუმი;
4. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი;
5. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება;
7. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი.

გამოკითხული მოსწავლეებიდან შეკითხვაზე - სწავლების რომელი სახე მიაჩნიათ უფრო მნიშვნელოვანად - ფორმალური თუ არაფორმალური, მოსწავლეთა 76.9 % ფიქრობს, რომ ორივე ფორმა მნიშვნელოვანია, 15.3% - არაფორმალურს ანიჭებს უპირატესობას; 7.6 % კი ფორმალურს:



დიაგრამა N1.

ასეთივე სურათი მოგვცა მშობელთა ანკეტირებამაც:

მოსწავლეები არაფორმალური სწავლების აქტივობებს შორის მოსწავლეებს უჭირდათ ერთერთის არჩევა და რამდენიმე ან ყველა აქტივობაზე აკეთებდნენ აქცენტს, ამიტომ შედეგები ასე გადასაწილდა: ექსკურსიები -13 მოსწავლის არჩევანი


საკლუბო და წრეობრივი საქმიანობა - 3 მოსწავლის არჩევანი

როლური თამაშები - 9 მოსწავლის არჩევანი

პროექტები - 8 მოსწავლის არჩევანი

ოლიმპიადები და სხვა მსგავსი აქტივობები - 4 მოსწავლის არჩევანი

აბსოლიტურად ყველა მოსწავლის კითხვარში დაფიქსირდა დადებითი პასუხი შეკითხვაზე - აქვთ თუ არა სურვილი უფრო ხშირად/ აქტიურად ჩაერთონ არაფორმალური სწავლების აქტივობებში - ე.ი. 100%.




დიაგრამა N2.

ხელისშემშლელ ფაქტორად მოსწავლეთა უმრავლესობა მიიჩნევდა იმას, რომ ასეთ აქტივობებს მასწავლებლები იშვიათად გეგმავენ; კერძოდ:77 % მიიჩნევს, რომ ასეთ აქტივობებს მასწავლებლები იშვიათად გეგმავენ, ხოლო 23% დროის სიმცირეს ასახელებს.

ხელშემშლელი ფაქტორები

■ მასწავლებლები აქტივობებს არ გეგმავენ ■ დროის სიმცირე



გრაფიკი N1.


დაახლოებით ასეთივე შედეგები გამოვლინდა მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვის დროს:

სწავლების აუცილებელ და საინტერესო ფორმად მიიჩნევენ

ფორმალურ სწავლებას -12.5%

არაფორმალურს - 12.5%

ორივე ფორმის მონაცვლეობით გამოყენებას - 75%;



დიაგრამა N3.

მათ უმრავლესობას უჭირს აქტივობებს შორის არჩევანის გაკეთება და ასახელებს ორს ან მეტს:


საკლუბო და წრეობრივი მუშაობა - 1 მშობლის არჩევანი

ექსკურსია - 6 მშობლის არჩევანი

პროექტები - 4 მშობლის არჩევანი

ოლიმპიადები და სხვა მსგავსი აქტივობები - 4 მშობლის არჩევანი


როლური თამაშები - 1 მშობლის არჩევანი ;



დიაგრამა N4.

გამოკითხულ მშობელთა 100% -ს სურვილი აქვს, მისი შვილი ჩართული იყოს არაფორმალური სწავლების სხვადასხვა აქტივობებში;

არასაკმარისი/დაბალი ჩართულობის მიზეზად გამოკითხულთა 25 % ასახელებს დროის სიმცირეს, ხოლო 75 % - მასწავლებელთა მხრიდან ამგვარი აქტივობების დაუგეგმავობას.



გრაფიკი N2.


მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები:

მასწავლებლების 100% მონაცვლეობით, საჭიროებისამებრ იყენებს ფორმალური და არაფორმალური სწავლების მეთოდებს;

აქტივობებს შორის უპირატესობას ვერ ანიჭებს და ირჩევს ყველას - 50%;

მხოლოდ პროექტებს, ან მხოლოდ ექსკურსიას - 25%;

პროექტსა და ექსკურსიას - 25%;



გრაფიკი N3.

არაფორმალური სწავლების ფორმების აქტიური გამოყენების მაჩვენებელს არასაკმარისად მიიჩნევს მასწავლებელთა 100%;


ამ პრობლემის მიზეზად ასახელებენ:

დროის სიმცირეს - 25%;

რესურსების ნაკლებობას - 75% ;

ხელშემშლელი ფაქტორები

■ მასწავლებლები აქტივობებს არ გეგმავენ ■ დროის სიმცირე



გრაფიკი N4.

ვინაიდან გამოკითხულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა პასუხებში დომინირებდა ექსკურსიის თემა და პროექტები, საჭიროდ მივიჩნიე მუზეუმების თანამშრომლებთან გასაუბრებაც. ინტერვიუსათვის მოვამზადე რამდენიმე სავარაუდო შეკითხვა:

შევხვდი და გავესაუბრე შვიდი სხვადასხვა მუზეუმის თანამშრომელს:

1. ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი;
2. ფირცხალაიშვილის სახელობის გურიის შემოქმედ ადამიანთა მუზეუმი;
3. ქალაქ ბათუმის ხელოვნების მუზეუმი;
4. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი;
5. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება;
7. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი.

5.2. კვლევის მიგნებები(ანუ მონაცემთა ანალიზის შედეგები)

კვლევის შედეგების გაანალიზებამ მიჩვენა, რომ არაფორმალური სწავლების გამოყენების მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია ფორმალურთან შედარებით. სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს მასწავლებლები უთმობენ გაკვეთილების ჩატარების რუტინულ პროცესს. 45 წუთი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ცოდნასთან ერთად მიიღონ საჭირო უნარ - ჩვევები. ამისათვის საუკეთესო გზაა არაფორმალური სწავლების გამოყენება, მათ შორის სსწავლო - შემეცნებითი ვიზიტები. მით უმეტეს, რომ

მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მოლოდინი აქვთ და დადებითად არიან განწყობილი სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენებაზე.

არაფორმალური სწავლების განხორციელება მასწავლებლისაგან მოითხოვს დამატებით დროს, რესურსებს, ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას.

მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია სწავლების ორივე ფორმის მონაცვლეობით განხორციელება. კარგი იქნება, თუ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნისა და უნარების განვითარება მოხდება არაფორმალურ ვითარებაში. ჩემმა კოლეგებმა კარგად იციან არაფორმალური სწავლების სხვადასხვა აქტივობის ეფექტიანობა და აქვთ დაგეგმვა -განხორციელების პრაქტიკა, თუმცა აღიარებენ, რომ ხშირად ვერ გეგმავენ ამგვარ აქტივობებს. ამის მიზეზად ასახელებენ სასწავლო რესურსების ნაკლებობას ან ამ რესურსების მოსაძიებლად საჭირო თანხებს, დროის სიმცირეს. პრობლემების მოგვარების გზად მიაჩნიათ სახელმწიფოს მიერ გატარებული მიზანმიმართული ღონისძიებები - მეტი მხარდაჭერა სკოლებისათვის, რესურსებით მომარაგება და ა.შ.

საინტერესო და დამაფიქრებელი იყო ჩემთვის მოსწავლეთა და მათი მშობლების ანკეტური გამოკითხვის შედეგების გაანალიზება. მათი უნრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია სწავლების ორივე ფორმის მონაცვლეობა. განსაკუთრებით მოსწონთ ექსკურსიები და სასწავლო პროექტებში მონაწილეობა, მნიშვნელოვნად თვლიან როლოურ გათამაშებებსა და საკლუბო, წრეობრივ მუშაობას; თუმცა ხელისშემშლელ ფაქტორებად პირველ რიგში ასახელებენ მასწავლებელთა მხრიდან ამგვარი აქტივობების დაუგეგმავობას.

მუზეუმების თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მოწვევები:

- უკანასკნელ წლებში გაიზარდა დამთვალიერებელთა საერთო რაოდენობამ და მათ შორის ექსკურსიების საშუალებით მოსწავლეების ვიზიტებმაც.

- მუზეუმები ძალიან ბევრ და საინტერესო მასალებს სთავაზობენ დამთვალიერებლებს;

- მუზეუმის თანამშრომლები მზად არიან, მემორანდუმები გააფორმონ სკოლებთან და ითანამშრომლონ მათთან:

ა. ჩაუტარონ მინი-ლექციები და სემინარები;

ბ. დაეხმარონ პროექტების, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაში;

გ. უსასყიდლოდ დაუთმონ დარბაზი ან სხვა სივრცე ღონისძიებების, გასვლითი გაკვეთილების ჩასატარებლად;

დ. მოაწყონ ფილმების ან ვიდეოჩვენებები მოსწავლეთათვის საინტერესო სასწავლო თემებზე.

ე. დაათვალიერებინონ მუზეუმში არსებული დაცული მასალები და ამ მასალებთან დაკავშირებით გააკეთონ სიტყვიერი კომენტარები, ახსნა-განმარტებები.

უფრო დაწვრილებით თუ განვიხილავთ ამ მონაცემებს, ასეთ სახეს მივიღებთ:

მოსწავლეთა და მათი მშობლებისათვის ჩატარებული ტესტირების შედეგები: გამოვკითხე 13 მოსწავლე და 10 მშობელი, სულ 23 რესპოდენტი.

ამათგან:

შეკითხვაზე - „1.ექსკურსია, როგორც სასწავლო - შემეცნებითი მეთოდი სკოლაში უნდა გამოიყენებოდეს“- 16 გამოკითხული თვლის, რომ სასწავლო ექსკურსია ს / წლის დასასრულს უნდა ჩატარდეს;4 თვლის რომ რამდენჯერმე შეიძლება, 3 - არ პასუხობს.

შეკითხვაზე - „2.რა არის ექსკურსიის მიზანი?“ 20 -ს მიაჩნია, რომ მიზანი არის გართობა.

შეკითხვაზე - „არსებობს წესები ექსკურსიაზე მნიშვნელოვანი ადგილების დამთვალიერებელთათვის. გაგიგიათ თუ არა ამის შესახებ?“ და „ არის თუ არა აუცილებელი ამ წესების ცოდნა და დაცვა?“ -23-ვეს პასუხია „არა“;

შეკითხვაზე - „ 5.არის თუ არა საჭირო ექსკურსიის წინასწარ დაგეგმვა?“ 8 პასუხობს -„კი“, 7-ის პასუხია - „არა“, დანარჩენი 8 გამოკითხული არ პასუხობს შეკითხვას.

შეკითხვაზე - „ 6. ვინ გეგმავს ექსკურსიას?“ - 20 მოპასუხე წერს, რომ ყველა ერთად უნდა გეგმავდეს ექსკურსიას - მოსწავლეები, მასწავლებელი და მშობლები;

შეკითხვაზე - „7.არის თუ არა საჭირო წინასწარ მასალების მოძიება, აქტივობების დაგეგმვა ექსკურსიის გაკეთებამდე?“ მხოლოდ 3 არის დარწმუნებული იმაში, რომ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა არის საჭირო, 7 თვლის რომ არ არის საჭირო , დანარჩენი ტესტის ფორმას ამატებს სიტყვიერ ჩანაწერს - „ საკვების მომარაგებაა საჭირო“

5.4. კვლევის ძირითადი მიგნებები

1.მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები ზოგადად, დარწმუნებული არიან იმაში, რომ სასწავლო - შემეცნებითი ვიზიტები, ექსკურსიები ერთერთი საუკეთესო მეთოდია სხვა მეთოდებს შორის;

2.მოსწავლეები და მათი მშობლები გამოხატავენ ამ მეთოდით სწავლებისათვის მზაობას;

3.საგნის მასწავლებლებს უჭირთ ექსკურსიების ორგანიზება მცირეკონტიგენტთან კლასებში თანხებთან დაკავშირებული პრობლემის გამო.

4.მუზეუმების, სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილების თანამშრომლები მზად არიან სკოლებთან თანამშრომლობისათვის.

5.5. შესაძლო ინტერვენციები

კოლეგებთან აზრთა გაზიარებით მივიღე ასეთი გადაწყვეტილება - ხშირად დამეგეგმა ექსკურსიები, რომელიც კომპლექსური ხასიათისა იქნებოდა და ამ ექსკურსიებზე ჩემი მიზანი იქნებოდა არა მხოლოდ დასვენება - განტვირთვა და რაიმეს დათვალიერება, არამედ შემეცნებითი ხასიათის დავალებების შესრულებისაკენ მიმართული.

აქტივობების მომზადებაში აქტიურად უნდა ჩავრთო მოსწავლეები, მივცე შესასრულებელი საქმიანობის არჩევანის საშუალება, დავეხმარო მიზნების დასახვასა და მიღწევაში.

მიმდინარე კვლევებმა განამტკიცა ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ მეთოდის გამოყენების გარეშე რთულია ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების საუკეთესო შედეგების მიღება, რადგანაც: მასწავლებლები ფორმალური სწავლების დროს ძირითადად ორიენტირებული არიან სასწავლო პროგრამების „ამოწურვაზე“, საგნობრივი ცოდნისა და უნარების გადაცემაზე. ექსკურსია, გასვლითი ღონისძიება კი - საშუალებას აძლევს, ერთგვარად შეაჯამოს, სისტემაში მოიყვანოს, გაიღრმავოს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა;

3.რთულია სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის დაკავშირება რეალობასთან, ასევე ერთმანეთთან. ცოდნის მიღება რთული და დამლული პროცესი ხდება მუდმივად საკლასო ოთახში; მოსწავლეებს ბეზრდებათ ერთგვაროვან გარემოში მუშაობა, მუდმივი რუტინული პროცესი;

4.საჭიროა მოსწავლეებში დავამკვიდროთ ის თვალსაზრისი, რომ ნებისმიერი გასვლითი ღონისძიება გართობასთან ერთად სასწავლო - შემეცნებითი მნიშვნელობის მატარებელია, ამიტომ საკმარისი არ არის სასწავლო წლის მანძილზე მხოლოდ ერთი ან ორი ამგვარი გასვლა. მხოლოდ რამდენჯერმე მთელი წლის განმავლობაში, სწავლებისა და ექსკურსიამდე მზადების პროცესში მოსწავლეებთან ერთად უნდა დაიგეგმოს აქტივობები.

სასწავლო პროცესის, მათ შორის ექსკურსიის დაგეგმვის სწავლება

მონაცემთა ანალიზმა და ძირითადად მიგნებებმა მაფიქრებინა, რომ საჭირო იყო, მოსწავლეთათვის პირველ რიგში სასწავლო პროცესის, საკუთარი და კოლეგებთან მუშაობის დაგეგმვა შესწავლებინა.

ტესტირებამ მიჩვენა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები საჭიროდ არ თვლიდნენ ვიზიტისათვის ღონისძიებების დაგეგმვას. ისინი მიიჩნევდნენ,

რომ ეს არ იყო სასწავლო პროცესი, მაგრამ მე შევეცადე მეჩვენებინა საპირისპირო მოსაზრება, კერძოდ ის, რომ დაგეგმვის გარეშე ქაოსური, არაფრის მომცემი არ იქნებოდა ეს გასვლა. საჭირო იყო მოქნილი, საინტერესო, სახალისო აქტივობებით დატვირთული გეგმის შედგენა. გეგმის შემადგენელი ნომინაციები გამომწვევი, დამაინტერესებელი უნდა ყოფილიყო როგორც მონაწილე ბავშვებისათვის, ისე იქ მყოფი სხვა ადამიანებისათვის. მაგალითად - შეჯიბრებები, დისკუსიები, ლიტერატურული გასამართლება, მხიარული თამაშები, ცეკვა - სიმღერები და სხვა. კვლევის დაწყებამდე შემჩნეული მქონდა, რომ ჩემს მოსწავლეებს უჭირდათ სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლის სტრატეგიების მიზანმიმართულად გამოყენება. რამდენჯერმე მათთან ერთად გავაკეთე გეგმა, აქტივობათა ჩამონათვალი ვიზიტისათვის. ამის შემდეგ რამდენიმე მოსწავლემ დამოუკიდებლად შეადგინა ასეთი გეგმა და შესწორებისათვის მოიტანა. მოსწავლეთა თანამონაწილეობით შედგენილი იქნა რამდენიმე გეგმა (იხ. დანართი).

სამიზნე ობიექტზე წარსადგენი მასალების მზადება

მივიჩინეთ, რომ ექსკურსიებსა და სასწავლო ვიზიტებს ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. განსაკუთრებით ბევრის მომცემი იყო წინასწარი მზადების პროცესი. მოსწავლეები ფსიქოლოგიურადაც ემზადებოდნენ ამ ვიზიტებისათვის და ცდილობდნენ, თავი არ შეერცხვინათ, მაქსიმალურად გამოევიწყინათ თავიანთი შესაძლებლობები ვიზიტების დროს, უცხო ადამიანებთან პრეზენტაციების კეთებისას ან დისკუსიაში მონაწილეობაში. ამიტომაც საგანგებოდ ემზადებოდნენ, ვარჯიშობდნენ. მაგალითად, მწერალ ნოდარ დუმბაძის სახლ - მუზეუმში წასვლამდე მოსწავლეებმა მოამზადეს როლოური გათამაშებები, გააცენარეს ეპიზოდები მწერლის მოთხრობებიდან; ასევე ეგნატე ნინოშვილის სახლ -მუზეუმში წასვლამდე მოამზადეს ერთერთი მოთხრობის პერსონაჟის ლიტერატურული გასამართლება, გააკეთეს მცირე თხრობითი ექსკურსი მწერლის ბიოგრაფიასა და საინტერესო ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე; თვალსაჩინო იყო, რომ რომელიმე ტექსტიდან ეპიზოდის როლოური გათამაშება მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მოსწავლეებში არა მარტო წაკითხულის გააზრების, არამედ ტექსტების გასცენარების უნარებს, პერსონაჟის გრძნობების, ემოციების გამოხატვის, როლის გათავისების, ემპათიის გრძნობების გამომუშავებას. თუ მანამდე ტექსტებს მოსწავლეები უღიმღამოდ, უემოციოდ კითხულობდნენ. მზადების დროს, მრავალჯერადი გამეორებებითა და მუშაობით გაიუმჯობესეს მხატვრული კითხვის უნარებიც.

საგანთ შორის კავშირების დამყარება

ექსკურსიის შესაძლებელია სხვადასხვა მიზნის ეფექტურად განხორციელება. ექსკურსიის გამოყენება საუკეთესო საშუალებაა არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ნებისმიერი საგნის სწავლებისათვის. ეს საგნებია: ისტორია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, საზოგადოებრივი მეცნიერებები, თვით სპორტიც კი. ექსკურსია და სხვა სახის სასწავლო- შემეცნებითი

ღონისძიებები ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას ერთდროულად რამდენიმე საგანში. ამისათვის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობები კოლეგებთან, მოსწავლეებთან ერთად. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს დავათვალისწინებინეთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმები. დათვალისწინებულ შემდეგ მოსწავლეები აქტიურად ერთვებოდნენ დისკუსიაში. ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი იყო ის მასალა, რომელიც ადგილზე მისვლით ნახეს. ექსკურსიის პროცესში და შემდეგაც მოაწყვეს დისკუსიები, იმსჯელებს და აზრთა ჭიდილში გამოკვეთეს საბოლოო აზრი, პრობლემის გადაჭრის გზა. საერთოდ განსხვავებული და ემოციური იყო მათი საუბარი ექსკურსიების შემდეგ.

ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

მაისის თვეში რამდენიმე მასწავლებელთან ერთად სკოლაში დაიგეგმა ერთობლივი ვიზიტი - ეგნატე ნინოშვილის სახლ - მუზეუმში. დაგეგმვის დროს გავითვალისწინეთ რამდენიმე საგნის მასწავლებლის მოთხოვნა, რომელიც უკავშირდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგნობრივ სტანდარტს. გეგმაში შევიტანეთ როგორც ქართულის, ისე მუსიკის, მათემატიკის, გეოგრაფიის, უცხო ენის, სპორტის საგნობრივი განვითარებისათვის საჭირო აქტივობები - ლექსების მხატვრული კითხვა, ლიტერატურული გასამართლება, სპორტული შეჯიბრი, გუნდებს შორის შეჯიბრება, მუსიკალური ნომრების შესრულება, იუმორების თხრობა, შეჯიბრი საბუნებისმეტყველო საკითხებში - ქარის მიმართულებისა და სიმაღლის გაზომვა ზღვის დონიდან, ბუნებაზე დაკვირვება, მცენარეთა საფარის თავისებურებანი, სიტყვაციური ამოცანების მოფიქრება და ამოხსნა გარემოში არსებული საგნების გამოყენებით. ვიზიტის შემდეგ მოსწავლეები რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობდნენ ესეებზე. ვიზიტის მოწყობამდე სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეს აქტივობები, საორგანიზაციო საკითხები, შემდეგ კი ერთმანეთთან შეათანხმეს მოსაზრებები. შევადგინეთ ერთიანი საექსკურსიო გეგმა, რომელშიც ჩამოვყალიბეთ თითოეული მასწავლებლის მიერ მისაღწევი სტანდარტის შედეგები. მზავრობისათვის ვიქირავეთ საერთო ტრანსპორტი, ვიმგზავრეთ ერთად, აქტივობები განვახორციელეთ ერთად. უკან დაბრუნების შემდეგ მოსწავლეებს დისკუსია, რეფლექსია გავაკეთებინეთ ღონისძიებებისათვის მოწყობილ მოზრდილ ოთახში. დისკუსიაზე განიხილეს ვიზიტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმსჯელებს იმის შესახებ, რაც ნახეს ან მოისმინეს, რამდენად გასაგები და საინტერესო იყო ინფორმაცია, რა შესძინა ამ ვიზიტისთვის მზადების, განხორციელების პროცესში მუშაობამ, როგორ ითანამშრომლეს ერთმანეთთან, რა იყო ხელის შემშლელი ფაქტორი და ა.შ.

მოსწავლეები და მათი მშობლები კმაყოფილი იყვნენ ამ ვიზიტით. ბავშვებთან ერთად კარგად იმხიარულეს უფროსებმაც. მასწავლებლები დარწმუნდნენ იმაში, რომ აუცილებელი არ არის ექსკურსიის მოწყობა ცალ -

ცალკე კლასებთან მაშინ, როცა ამის საშუალება არ არის. შეასძლებელია, სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებსაც გამოვუნახოთ საერთო თემა სწავლებისათვის. არც ის არის აუცილებელი, რომ ერთი საგნის მასწავლებელს ცალკე მიჰყავდეს მოსწავლეები ექსკურსიაზე. უმჯობესია, თუ სხვადასხვა საგნის მასწავლებელი შეთანხმდება და ერთობლივად დაგეგმავენ გასვლით ღონისძიებას.

განხორციელებული ცვლილებები

კვლევის მიმდინარეობის პროცესში მასწავლებლების ჯგუფთან ერთად დავგეგმე და განვახორციელე რამდენიმე პროექტ ექსკურსია:

ექსკურსია საჯარო ბიბლიოთეკაში - პროექტისათვის „კეფნისტყაოსნის ნაკვალევზე“;

ექსკურსია არქეოლოგიურ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;

ექსკურსია ექვთიმე თაყაიშვილის სახლ - მუზეუმში;

ექსკურსია ქ. ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახლ - მუზეუმში;

ექსკურსია ეგნატე ნინოშვილის სახლ - მუზეუმში;

ექსკურსია ფირცხალაიშვილის სახელობის „გურიის რეგიონის შემოქმედ ადამიანთა“ სახლ - მუზეუმში.

ჩატარებული ექსკურსიები იყო ერთგვარი შეჯამება პროექტებისათვის. მაგალითად, პროექტი, რომელიც მოსწავლეებთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად მოვამზადე „ევროპის დღეებისათვის“ შევაჯამე ოზურგეთის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმში. ამისათვის წინასწარ შევუთანხმდი მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებმაც უსასყიდლოდ დაგვითმეს დარბაზი, დაგვენმარნენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ვიქტორინის, პრეზენტაციების მოწყობაში, ფილმის ერთობლივ ყურებასა და მის განხილვაში. მოსწავლეებს ჩაუტარეს საინტერესო ლექცია - სემინარი, უჩვენეს ფილმი.

ასევე დიდი დახმარება გაგვიწიეს ილია ჭავჭავაძის სახლ - მუზეუმის მუშაკებმა, რომლებმაც შესანიშნავი ლექცია - სემინარი ჩაუტარეს მოსწავლეებს თემაზე - „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ჩვენი მხრივ, მოსწავლეებს მომზადებული ჰქონდათ რამდენიმე ლექსი მხატვრულად წასაკითხად. წაკითხული ჰქონდათ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სახრჩობელაზე“, რომლის ერთერთი პერსონაჟის შესახებაც მოაწყვეს დისკუსია თემაზე - „რა შუაშია პეტრე?“

ექსკურსია ჩავატარეთ ეგნატე ნინოშვილის სახლ - მუზეუმშიც. აქ მოსწავლეებთან ერთად შევაჯამეთ „უახლოესი საუკუნე და უახლოესი მწერალი“ - მოგვიანებთ, მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით შევუცვალეთ პროექტს სახელწოდება და დავარქვით - „არა ხარ

დავიწყებული”. ეს სახელწოდება შეარჩიეს იმის გამო, რომ მწერალი ეგნატე ნინოშვილი სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს, ამიტომ არსებობს იმის საფრთხე, რომ გურიის რეგიონის ეს ცნობილი და გამორჩეული ადამიანი დავიწყებას მიეცეს. მოსწავლეებმა იქ გაკეთებული ვიზიტით გააცოცხლეს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები. მოაწყვეს შეჯიბრებები, თამაშები, გაიცნეს მუზეუმის დღესთან დაკავშირებით მოწვეული სხვა სტუმრები, მოისმინეს მათი მონათხრობი, სიმღერები, იუმორები, ერთად ისაუბლეს ბუნებაში და რა თქმა უნდა, ემოციებით დატვირთული დაბრუნდნენ უკან.

სახალისო და პროდუქტიული იყო პროექტის მზადების პროცესი. მოსწავლეებმა წიგნებიდან, ინტერნეტიდან მოიძიეს მასალები, გადაარჩიეს, მოამზადეს რეფერატები, სლაიდშოუები. ასევე გაასცენარეს ეპიზოდები მწერლის შემოქმედებიდან, გაითამაშეს როლებში. რაც მთავარია, მათი საქმიანობა იყო მიზანმიმართული, დაგეგმილი და მოტივირებული იმით, რომ შედეგს ექსკურსიის დროს ნახავდნენ, თავიანთი პრეზენტაციების, შეჯიბრებების დასრულების შემდეგ. (პროექტის გეგმა, თანამშრომლობითი შეხვედრების ჩანაწერები და რეფლექსია იხ. დანართებში).

თავი VI. რეკომენდაციები და ინტერვენციები

6.1. ინტერვენციების შეფასება

- ვფიქრობ, ჩემ მიერ შერჩეული ინტერვენციები, კერძოდ სწავლება ექსკურსიის გამოყენებით საინტერესო და ეფექტური იყო; საინტერესო იმით, რომ მასში დაგეგმილი მქონდა არაერთი განსხვავებული, მოსწავლისათვის მამოტივირებელი აქტივობა - ვიქტორინები, კონკურსები, გათამაშებები, ფილმების ჩვენება, მასალა-ექსპონატების დათვალიერება, ლექცია - სემინარების მოსმენა.

- ეფექტური იყო იმით, რომ მოსწავლეებმა ექსკურსიის გაკეთებამდე გაწეული მუშაობის პროცესში დახვეწეს და გაიუმჯობესეს რეფერატებზე მუშაობის, სლაიდშოუს მომზადების, მასალების მოძიების, გადარჩევის, გადამუშავების, აზრების შეჯერება - შეთანხმების უნარ - ჩვევები, ასევე ჯგუფური მუშაობის გამოცდილების მხრივ. გაიუმჯობესეს უცხო აუდიტორიის წინაშე გამოსვლის, ემოციების გამოხატვის, მოთხრობის სცენარად გადაკეთების უნარ - ჩვევები.

- მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ მოსწავლეები ჩვეულებრივი, სწავლების რუტინული გარემოდან გავიდნენ გარეთ, განსხვავებულ გარემოში და სწავლის პროცესი გახდა მათთვის უფრო შთამბეჭდავი, ემოციებით დატვირთული.

მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს ფგუფური და თანამშრომლობითი უნარები.

6.2. დასკვნა და რეკომენდაციები

სასწავლო - შემეცნებით ვიზიტები, ექსკურსიები არის რაიმეს კოლექტიური დათვალიერება, გამგზავრება, გასეირნება სასწავლო მიზნით. ხშირ შემთხვევაში კლასგარეშე ვიზიტები ადრე გაიგივებული იყო გართობასთან და და მას აწყობდნენ რაიმე ისტორიული, კულტურული თუ ბუნებრივი ობიექტის მოსანახულებლად. მაგრამ ამ ვიზიტებს მეტი დატვირთვა შეიძლება მიეცეს, რადგან ამ დროს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რეალურ გარემოში დააკვირდნენ სიტუაციას და გაეცნონ მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ თავისებურებებს. სასწავლო ვიზიტები მასწავლებელმა უნდა დააკავშიროს სასწავლო გეგმასთან და მისცეს მას საგანმანათლებლო დატვირთვა.

სასწავლო ვიზიტის მოსაწყობად უნდა გვახსოვდეს:

1. სასწავლო ვიზიტი არ უნდა გადაიქცეს უბრალო გასეირნებად. იგი უნდა დაიგეგმოს წინასწარ; გეგმა უნდა გაიწეროს დეტალურად, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები. პირველ რიგში, უნდა დავაწესოთ ვიზიტის მიზანი, სასწავლო გეგმის სტანდარტულ მოთხოვნებთან კავშირი, გააზრებული უნდა გვქონდეს მოსალოდნელი შედეგები;

2. სასწავლო ვიზიტის დაგეგმვაში უნდა ჩავრთოთ მოსწავლეები, მათი მშობლები, სხვა მასწავლებლებიც კი; უნდა ვიცოდეთ მოსწავლეთა ზუსტი რაოდენობა; ერთად უნდა მოხდეს ადგილის, სამიზნე ობიექტის განსაზღვრა, საექსკურსიო სატრანსპორტო საშუალებების მოძიება, გასვლისა და უკან დაბრუნების დრო, თარიღის შერჩევა, ამინდის პროგნოზის გაგება, საკვების, წყლისა და სხვა აუცილებელი საჭიროების ნივთების მომარაგება;

3. კარგი იქნება აქტივობების დაგეგმვა სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად, მაგალითად; ისტორიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, სპორტის, ხელოვნების, ქართულის გაკვეთილების ინტეგრირება.

4. ექსკურსიის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ქვემოთ მოცემული სქემა:

რჩევები ექსკურსიის დაგეგმვისათვის:

საგანი/საგნები

მოსწავლეთა ასაკი

სასწავლო მიზანი

კავშირი მოსწავლეთა მიმდინარე სამუშაოებთან

მოსამზადებელი სამუშაოები მასწავლებლისთვის

მოსამზადებელი სამუშაოები მოსწავლეებისთვის

რესურსები ექსკურსიისთვის

აქტივობები ექსკურსიისთვის

ექსკურსიის შემდგომი აქტივობები.

თავი VII. დასკვნა

ექსკურსია ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. ამ მეთოდის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, მაგრამ ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასწავლებელმა ექსკურსიის გეგმის მომზადების პროცესში უნდა ჩართოს მოსწავლეები, შემდგომში კი ისინი ამუშაოს მისი ზედამხედველობით, რათა არ მოხდეს მოტივაციის დაქვეითება, გეგმიდან გადახვევა; მასწავლებელი აძლევს პრობლემის არჩევის საშუალებას, მათთან ერთად განსაზღვრავს განსახორციელებელ ამოცანებს და პერიოდულად რჩევებით ეხმარება მათ. თუ მასწავლებელი დამოუკიდებლად, მოსწავლეების ჩარევის გარეშე დაგეგმავს პროექტს, შესასრულებელ ამოცანებს, თვითონვე დაასახელებს პასუხისმგებელ პირებს და არ მისცემს მოსწავლეებს არჩევანის უფლებას, მაშინ განხორციელებული აქტივობა მოსწავლეებისათვის იქნება იძულებითი, უინტერესო, მომაბეზრებელი და შესაბამისად, სწავლების თვალსაზრისით არაეფექტური.

იმისათვის, რომ ექსკურსია გამოვიყენოთ სწავლების ერთერთი ეფექტური მეთოდი, აუცილებელია, რომ მოსწავლემ ისწავლოს არა მარტო საგნობრივი მასალა, არამედ გააანალიზოს, გააცნობიეროს შესწავლილი მასალა განსხვავებული რესურსის, განსხვავებული გარემოს ხელშეწყობით, ასევე ჩაუღრმავდეს, გააანალიზოს სიტუაცია, ისწავლოს საკუთარი შესაძლებლობების, სწავლის პროცესების მართვა.

ექსკურსიისათვის წინასწარი მზადება, ექსკურსიის პროცესში მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, გამოყენებული ცოდნისა და უნარების გაანალიზება ექსკურსიის შემდგომ ეტაპზე მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დაფიქრდეს თავის შეცდომებსა და ღირსებებზე, კრიტიკული თვალის შეხედოს საკუთარ ქმედებებს და ეძიოს გზები უკეთესი გამოსავლის საპოვნელად. მოსწავლე, რომელიც უშვებს შეცდომებს, სათანადოდ ვერ წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს გასვლით ღონისძიებაზე, ვთქვათ, ვერ იხსენებს გაკვეთილებზე ნასწავლ მასალას და უჭირს ამ მასალის დაკავშირება ექსკურსიაზე ნანახთან ან გიდის მონათხრობთან, უკან დაბრუნებისას მოიძიებს სათანადო მასალას სახელმძღვანელოში და განმეორებით კითხულობს, უკვირდება. მომდევნო ექსკურსიისათვის კი ცდილობს, წინასწარ მოამზადოს ის სავარაუდო მასალა, რომელიც შეიძლება ფორმალური საგაკვეთილო პროცესიდან შეიძლება დასჭირდეს არაფორმალურ გარემოში. გარდა ამისა, მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის უნარებს და სხვა დროს, კლასში დაბრუნებისას აძლევს საჭირო რჩევებს, ეხმარება პრობლემების დაძლევაში.

ის მოსწავლეები, რომლებიც წინასწარ არიან მომზადებული ექსკურსიისათვის, ვთქვათ მწერლის სახლ - მუზეუმში წასვლამდე წაკითხული აქვთ მწერლის ბიოგრაფია, იციან მისი ნაწარმოებები, ამ

ნაწარმოებებზე შექმნილი ფილმები, რა თქმა უნდა, თავს კარგად იგრძნობენ მთელი ექსკურსიის განმავლობაში: წარმოაჩენენ თავიანთ ცოდნას, დაუკავშირებენ ნანახსა და მოსმენილ - წაკითხულ მასალას, გაიღრმავებენ ცოდნას. შესაძლოა წარმოვიდგინოთ, რომ ამ ტიპის მოსწავლეებისათვის ექსკურსია არ არის წინსვლისა და გონებრივი განვითარების საშუალება, რადგან ისინი ისდაც ფლობენ დამაკმაყოფილებელ ცოდნას ექსკურსიის დროს სანახავი მასალების შესახებ, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან ცოდნის გაღრმავების გარდა ეს მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი შესაძლებლობების, უნარების დაფასებას, თვითრეალიზებას, უყალიბდებათ თავდაჯერებულობა, რაც შემდგომი წინსვლისა და წარმატებების საწინდარია.

ექსკურსია, როგორც საგანმანათლებლო რესურსი სხვა რესურსებს შორის ერთერთ ეფექტურ რესურსად ითვლება სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

7.1. ბიბლიოგრაფია(გამოყენებული ლიტერატურა):

1. „ – როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები tpdc.ge
2. ეროვნული სასწავლო გეგმა ელექტრონული ვერსია, <http://ncp.ge>;
„კანონი ზოგადი განათლების შესახებ” –
„მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი” ;
„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები”;
„მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი”;
3. „როგორ ვასწავლოთ აზროვნება”.
4. <https://www.wvi.org/sites/default/files/TEORIA.pdf>
მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი, ჟანა კვაჭაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, ნათია გაჩეჩილაძე, სასწავლო აქტივობები ყველასათვის, მენუთე თავი”;
5. „საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების” სახელმძღვანელო, II ეტაპი, და „როგორ გამოვიყენოთ ადამიანური და ფიზიკური რესურსები სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად”(გვ.58);
6. <http://mastsavlebeli.ge/?p=2278> , ექსკურსია როგორც სასწავლო ღონისძიება, 27 აგვისტო, 2013 მანანა ბოჭორიშვილი;
7. <http://mastsavlebeli.ge/?p=13450> , როგორ ვაქციოთ ექსკურსია საინტერესო სასკოლო აქტივობად, პროფესიონალი გიდის რჩევები, 9 მარტი, 2017 დიანა ანფიმიალი;
8. http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_25.htm;

9.<http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/studentis-saxelmzgvanelo-saeqskursio-saqme.pdf>

სსიპ) - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ნიკო კვარაცხელია, საქსკურსიო საქმე, სახელმძღვანელო გიდის სპეციალობის V საფეხურის, საზოგადოებრივი კოლეჯებისათვის, თბილისი 2015;

10.<http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/eqskursiis-momzadeba-eqskursiis-chatareba.pdf>

პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების, ხელშეწყობის პროგრამა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მოდულური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები: ექსკურსიის მომზადება, ექსკურსიის ჩატარება მასწავლებლის გზამკვლევი, 2014;

დანართები:

დანართი N°1.

1. სამიზნე ჯგუფები, გამოკითხვის მეთოდი და მიზანი

| სამიზნე ჯგუფი | მეთოდი | მიზანი |
|---------------|----------------------------|---|
| მოსწავლეები | ანკეტირება | მოსწავლეების დამოკიდებულება არაფორმალური სწავლების მიმართ; არაფორმალური სწავლების რომელ აქტივობაში მიუღიათ მონაწილეობა და რომელ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას; რამდენად იციან ექსკურსიის მნიშვნელობა მოსწავლის აღზრდა -განათლებისათვის. |
| მასწავლებლები | ფოკუსჯგუფი , ანკეტირება | სწავლების რომელ ტიპს ანიჭებენ უპირატესობას - ფორმალურს თუ არაფორმალურს და რატომ; რასიხშირით იყენებენ ექსკურსიას, როგორც ერთერთ ეფექტურ სასწავლო მეთოდს |

| | | |
|-----------------------------------|------------|--|
| მოსწავლეთა მშობლები | ანკეტირება | რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სწავლების პროცესში ისეთი აქტივობების გამოყენება, როგორც ააექსკურსია, პროექტი, წრეობრივი და საკლუბო მუშაობა, კონკურსები, ვიქტორინები; რამდენად იციან ექსკურსიის მნიშვნელობა მოსწავლის აღზრდა-განათლებისათვის |
| სხვადასხვა მუზეუმის თანამშრომლები | ინტერვიუ | რამდენად მზარდია მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაინტერესება მუზეუმებით და იქ წარმოდგენილი მასალებით; რიგორ და რა საშუალებებით შეუძლიათ მხარდაჭერა, დახმარება მასწავლებლებისათვის; რა პროგრამას /ღონისძიებებს ან სიახლეებს სთავაზობს მუზეუმი მოსწავლე - ახალგაზრდობას იმისათვის რომ მიიზიდოს, დააინტერესოს. |
| | | |

დანართი N². ტესტური დავალებები და კითხვები სამიზნე ჯგუფებისათვის:

კითხვარი მუზეუმის წარმომადგენლებისათვის:

1. როგორია საზოგადოების დაინტერესება მუზეუმების მიმართ, მზარდია თუ კლებადი დამთვალიერებელთა სტატისტიკა უკანასკნელ წლებში?
2. რამდენი სკოლა და მოსწავლე ჩაერთო მუზეუმის დათვალიერებაში უკანასკნელ წლებში?
3. რა დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია მუზეუმების დათვალიერებას ადამიანის ცნობიერებაზე, რატომ უნდა დაათვალიეროს მნახველმა თქვენი მუზეუმი, რას ნახავს აქ ისეთს, რაც მას დააინტერესებს ან გამოადგება და დროის ფუჭად დაკარგვაში არ ჩათვლის აქ გატარებულ დროს?
4. რა სასწავლო და შემეცნებით პროგრამებს სთავაზობს თქვენი მუზეუმი დამთვალიერებლებს, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს?
5. რა სიახლეები გაქვთ წინა წლებთან შედარებით?

საგაკვეთილო პროცესს, რომელზედაც ხდება ახალი მასალის გაცნობა,გააზრება, შესწავლა და მომდევნო ეტაპზე - მიღებული ცოდნის შემოწმება, ნიშნით შეფასება. არაფორმალური სწავლების პროცესი კი კი ხორციელდება არასაგაკვეთილო პროცესში - საკლუბო და წრეობრივ გაერთიანებებზე, ექსკურსიებზე და ა.შ. აქ ცოდნას იღებთ პრაქტიკული საქმიანობის, ქმედებების საშუალებით; არ ხდება ნიშნებით შეფასება. თქვენი წარმატება ან წარუმატებლობა ფასდება ტაშით ან სხვა სახის ემოციებით.

1.როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში ეს ორი ფორმა?

ა.უფრო მნიშვნელოვანია ფორმალური სწავლება;

ბ.უფრო მნიშვნელოვანია არაფორმალური სწავლება;

გ.ორივე ფორმა მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

2.არაფორმალური სწავლების რომელი აქტივობა არის შენთვის საინტერესო და რით?

ა.პროექტებით სწავლება;

ბ.საკლუბო ან წრეობრივი მუშაობა;

გ.ექსკურსია;

დ.როლური თამაშები ან სხვა აქტივობები;

3.არაფორმალური სწავლების რომელი აქტივობაში მიგიღია მონაწილეობა და რა იყო ამის მიზეზი?

ა. მასწავლებლის ან მშობლის დაუინებელი მოთხოვნა;

ბ.პირადი დაინტერესება.

4.გაქვს თუ არა სურვილი, უფრო აქტიურად ჩაერთო არაფორმალური სწავლების სხვადასხვა აქტივობებში?

ა. დიახ;

ბ.არა.

5.რა გიშლის ხელს იმაში, რომ უფრო ხშირად ჩაერთო არაფორმალური სწავლების აქტივობებში?

ა. დროის სიმცირე;

ბ.მშობლების წინააღმდეგობა;

გ.,„შანის არარსებობა”, რაც გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებლები ასეთ აქტივობებს იშვიათად გეგმავენ.

კითხვარი მოსწავლეთა მშობლებისათვის

1. ცნობილია, რომ სწავლების ორი განსხვავებული ფორმა არსებობს - ფორმალური და არაფორმალური. პირველი მოიცავს ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესს, რომელზედაც ხდება ახალი მასალის გაცნობა, გააზრება, შესწავლა და მომდევნო ეტაპზე - მიღებული ცოდნის შემოწმება, ნიშნით შეფასება. არაფორმალური სწავლების პროცესი კი კი ხორციელდება არასაგაკვეთილო პროცესში - საკლუბო და წრეობრივ გაერთიანებებზე, ექსკურსიებზე და ა.შ. აქ მოსწავლე ცოდნას იღებს პრაქტიკული საქმიანობის, ქმედებების საშუალებით; არ ხდება ნიშნებით შეფასება. მისი წარმატება ან წარუმატებლობა ფასდება ტაშით ან სხვა სახის ემოციებით.

1. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში ეს ორი ფორმა?

ა. უფრო მნიშვნელოვანია ფორმალური სწავლება;

ბ. უფრო მნიშვნელოვანია არაფორმალური სწავლება;

გ. ორივე ფორმა მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

2. არაფორმალური სწავლების რომელ აქტივობაში მიუღია მონაწილეობა თქვენს შვილს და რა იყო ამის მიზეზი?

ა. მასწავლებლის დაჟინებული მოთხოვნა;

ბ. ბავშვის დაინტერესება.

3. არაფორმალური სწავლების რომელი აქტივობა არის თქვენი შვილის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და რით?

4. გაქვთ თუ არა სურვილი, თქვენი შვილი უფრო აქტიურად ჩაერთოს არაფორმალური სწავლების სხვადასხვა აქტივობებში?

ა. დიახ;

ბ. არა.

5. რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს იმისათვის, რომ მოსწავლეები უფრო ხშირად ჩაერთონ არაფორმალური სწავლების აქტივობებში?

ა. დროის სიმცირე;

ბ. მშობლების წინააღმდეგობა;

გ. მასწავლებლები ასეთ აქტივობებს იშვიათად გეგმავენ.

მუზეუმს ხელმწიფებლობას ქალბატონი დარეჯან ბიწაძე.

როგორც მუზეუმის ექსპონატების მცველი მოგვითხრობს, მუზეუმში დაცულია ლანჩხუთელი და ლანჩხუთური ფესვების მქონე შემოქმედ ადამიანთა მემკვიდრეობა. მუზეუმის ექსპონატები განთავსებულია ორ დარბაზში. პირველ დარბაზში მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ პოეტებისა და მწერლების შემოქმედება, ხოლო - მეორე დარბაზში მხატვრები, ფოტოგრაფები, ლოტბარები, მომღერლები, კომპოზიტორები და მოცეკვავეები. მუზეუმს მემორანდუმები აქვს გაფორმებული რამდენიმე სკოლასთან; მათ შორის, ჩოჩხათის საჯარო სკოლასთან. მემორანდუმის მიზანია, სკოლებთან თანამშრომლობის გაფართოება და კოორდინაცია, რითაც ხელს შეუწყობს მომავალ თაობას ცოდნის გაღრმავებაში. აქვთ გასვლითი ღონისძიებებიც. ხშირად მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს. მოაწყვენ შუხუთელი მოსწავლეების შეხვედრა მეთუნე ბიჭიკო ჩხაიძესთან, რომელმაც ბავშვებს ჩაუტარა მასტერკლასი. ჩოჩხათის საჯარო სკოლის გულიანის სექტორში ორჯერ მოაწყვენ გასვლითი ღონისძიება და მწერლებთან მოსწავლეების შეხვედრა.

მუზეუმი გახსნის დღიდან დღემდე წარმატებით ასრულებს თავის ერთერთ ფუნქციას - საზოგადოებასთან კავშირს. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს საშუალება აქვთ შეხვდნენ ცნობილ ადამიანებს და დაესწონ საინტერესო შეხვედრებს. ამ მიზნით მუზეუმთან არსებობს შემოქმედებითი საზოგადოება „სამება“. მუზეუმის მუშაობისათვის ერთერთი პრიორიტეტია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სათვისტომოს წარმომადგენელთა ჩართვა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ამ მიზნით კავშირი გვაქვს დამყარებული საბერძნეთის ქართულ სათვისტომოსთან.

რაც შეეხება დამთვალიერებელთა რაოდენობას, ქალბატონი დარეჯანი გვაწვდის მონაცემებს 2012 წლიდან დღემდე:

წელი ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა რაოდენობა ს ა ე ქ ს კ უ რ ს ი ო დამთვალიერებელთა რაოდენობა ექსკურსიის რაოდენობა გამოფენების რაოდენობა

| | | | | |
|-----------|----|-----|----|---|
| 2012 წელი | 10 | 150 | 5 | - |
| 2013 წელი | 58 | 389 | 23 | 1 |
| 2014 წელი | 44 | 382 | 34 | 1 |
| 2015 წელი | 11 | 242 | 24 | - |
| 2016 წელი | 25 | 356 | 21 | 1 |
| 2017 წელი | 6 | 413 | 17 | 1 |

7 თებერვალი -

შეხვედრა ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებთან

13 მარტი, სამშაბათი, 2018 წელი

მეხვედრა და გასაუბრება ქალაქ ბათუმის „ხელოვნების მუზეუმის“ თანამშრომლებთან

მუზეუმის თანამშრომლებმა ძალიან გულთბილად მიმიღეს, დამეხმარნენ ჩემთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებაში. კერძოდ, ჩემი ინტერესის სფერო იყო ის საკითხი, თუ რამდენდ მზარდი ან კლებადი იყო დამთვალიერებელთა რაოდენობა უკანასკნელ წლებში, მალ შორის მოსწავლეთა სტატისტიკური მონაცემები; ასევე, მაინტერესებდა, რა ღონისძიებებსა და აქტივობებს სთავაზობდა მუზეუმი დამთვალიერებლებს და მათ შორის მოსწავლე - ახალგაზრდობას; ქონდათ თუ არა რაიმე სიახლე წინა წლებთან შედარებით.

ექსკურსიამძღოლმა ამიხსნა, რომ მუზეუმს 80 -წლიანი ისტორია აქვს. 1938 წელს გაიხსნა.

რაც შეეხება დამთვალიერებლებს, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ქართველი და მით უმეტეს, უცხოელი დამთვალიერებლების რიცხვის ზრდა. სტატისტიკა ამ მხრივ არის განსხვავებული. მაგალითად, ყველაზე აქტიური პერიოდებია შემოდგომა - გაზაფხულის თვეები. ზამთარი შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. რაც შეეხება ზაფხულს, ამ დროს უფრო სჭარბობს უცხოელი დამთვალიერებლები, განსაკუთრებით წვიმიანი ამინდებია მუზეუმებისათვის დატვირთული, რადგან ამ დროს დამსვენებლები ზღვაზე ვერ გადიან და ურჩევნიათ მყუდრო გარემოში გაატარონ დრო.

აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი მოხერხებულად აქვთ გამოყენებული მუზეუმის მენეჯერებს და თავიანთ საქმიანობას გეგმავენ შესაბამისად. მაგალითად, აწყობენ სხვადასხვა აქციებს, ღონისძიებებს, გათამაშებებს მხანველთა დასაინტერესებლად. კერძოდ: წვიმიან ამინდებში და გარდა ამისა, კვირაში ორ დღეს, მუზეუმი იწვევს პიანისტსა და ფლეიტისტს, უკრაინაში მცხოვრებ ადამიანს, რომელიც ზაფხულობით ჩამოდის საქართველოში და მაცურებლებისათვის უფასოდ უკრავს პიანინოსა და ფლეიტაზე. მუზეუმთან აქვს გაფორმებული ხეშეკრულება, იღებს გასამრჯელოს, მაცურებლები კი - იხდიან მხოლოდ მუზეუმის დათვალიერების ბილეთის თანხას.

მუზეუმის თანამშრომლები მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის გეგმავენ მრავალფეროვან ღონისძიებებს. მოსწავლეებს ემსახურებათ გამოცდილი გიდი, რომელიც დაწვრილებით მოუთხრობს მუზეუმის ორივე სართულზე გამოფენილ გამოჩენილ ადამიანთა მხატვრობის ნიმუშებზე, პორტრეტებსა და , პეიზაჟებზე...

ასევე, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, პირველ სართულზე მოაწყონ თავიანთი ნამუშევრების გამოფენები, მოაწყონ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები.

აქ გასული წლის განმავლობაში მოეწყო არაერთი გამოფენა და ღონისძიება, მაგ. ,,ბავშვთა სახეები ცნობილ მხატვართა

შემოქმედებაში”, „მუსიკა მხატვრობაში”, „ცეკვა მხატვრობაში”, ასევე წელიწადის დროებთან დაკავშირებული გამოფენები. გასულ წელს მუზეუმს საჩუქრად გადაეცა მწერლისა და მხატვრის, ესეისტის ესმა ონიანის ნახატი, ამასთან დაკავშირებით მოეწყო კონფერენცია და საჯარო ლექციების კითხვა; მუზეუმების დღეს მოეწყო მხატვარ გურამ გუჯაბიძის ნახატების გამოფენა.

რაც შეეხება დამთვალიერებელ მოსწავლე- ახალგაზრდობის სტატისტიკას, 2016 წელს მუზეუმში დაფიქსირდა 978 მოსწავლე, 2017 წელს - 1596 მოსწავლე, 2018 წელს იანვარ -თებერვლის მონაცემებით -77 მოსწავლე.

2018 წელი, 13 მარტი

შეხვედრა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში

მუზეუმის თანამშრომლებს მისალმების შემდეგ გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი. უყოყმანოდ დამთანხმდნენ გასაუბრებაზე. მომზადებული მქონდა რამდენიმე შეკითხვა, მაგრამ აქაც, ისე როგორც წინა შემთხვევებში, დამჭირდა დამხმარე შეკითხვების დასმა, მოდიფიცირება. საბოლოოდ გაირკვა, რომ მუზეუმს მრავლად ჰყავს დამთვალიერებლები. ესენი არიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი ადამიანები. განსხვავებულია მათი ასაკიც.

მოსწავლე - ახალგაზრდობისათვის აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებს, მაგ. ფოტოგამოფენებს რომელიმე მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით: „25 თებერვალი”, „ვიცოდეთ ჩვენი ისტორია”, „მუზეუმების კვირეული”, „სამკაულის ხელოვნება”, „წითელფიგურებიანი კრატერი”, „იმოგზაურე წარსულში”, „შემეცნებითი თამაშები”, „ფრინველთა სამყარო”, „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად” და ა. შ.

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, 2016 წელს

თვე სულ დამთვალიერებელი მათ შორის მოსწავლე ექსკურსიის რაოდენობა

იანვარი რემონტი

თებერვალი რემონტი

მარტი 225 88 6

აპრილი 1517 771 45

მაისი 1843 442 48

ივნისი 2084 668 77

ივლისი 1599 206 73

აგვისტო 1313 136 59

| | | | | |
|-------------------|-------|------|-----|----|
| სექტემბერი | 1043 | 38 | 74 | |
| ოქტომბერი | | 562 | 109 | 29 |
| ნოემბერი | 710 | 392 | 29 | |
| დეკემბერი | 293 | 76 | 10 | |
| წლის განმავლობაში | 11283 | 2926 | 450 | |

2017 წელი

| თვე | სულ დამთვალე რაოდენობა | მათ შორის მოსწავლე | ე | ქ | ს | უ | რ | ს | ი | ი | ს |
|-------------------|------------------------|--------------------|-----|----|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი | 136 | 34 | 6 | | | | | | | | |
| თებერვალი | | 394 | 164 | 17 | | | | | | | |
| მარტი | 573 | 226 | 18 | | | | | | | | |
| აპრილი | 704 | 303 | 21 | | | | | | | | |
| მაისი | 1306 | 567 | 50 | | | | | | | | |
| ივნისი | 1396 | 600 | 75 | | | | | | | | |
| ივლისი | 1285 | 208 | 88 | | | | | | | | |
| აგვისტო | 1013 | 134 | 77 | | | | | | | | |
| სექტემბერი | 796 | 52 | 53 | | | | | | | | |
| ოქტომბერი | | 816 | 425 | 42 | | | | | | | |
| ნოემბერი | 568 | 344 | 28 | | | | | | | | |
| დეკემბერი | 345 | 111 | 13 | | | | | | | | |
| წლის განმავლობაში | 9332 | 3168 | 494 | | | | | | | | |

2018 წელი

| თვე | სულ დამთვალე რაოდენობა | მათ შორის მოსწავლე | ე | ქ | ს | უ | რ | ს | ი | ი | ს |
|-----------|------------------------|--------------------|-----|----|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი | 159 | 27 | 8 | | | | | | | | |
| თებერვალი | | 529 | 117 | 25 | | | | | | | |

მონაცემები გადმომცეს და მესაუბრნენ:

საგანმანათლებლო - შემეცნებითი განყოფილების ხელმძღვანელი: რუსუდან კობრავა

ექსკურსიამძღოლი: მადონა ჭრელაშვილი

შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლებთან

2018 წელი, 16 მარტი

მუზეუმის შენობა ქალაქის ცენტრშია განთავსებული. საკმაოდ დიდ შენობაში, მაგრამ დროებით არ ფუნქციონირებს, რადგან რემონტისთვის არის გამზადებული უკვე ერთი წელია. თანამშრომლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ რემონტი ჯერ კიდევ არ არის დაწყებული და გაურკვეველია, როდის დაიწყება ან დასრულდება.

მიუხედავად ყველაფრისა, აქ მომუშავე ადამიანები მზად არიან, დაეხმარონ ყველა დაინტერესებულ ადამიანს და მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია, აჩვენონ დაცული მასალები.

რა თქმა უნდა, ახლა შეუძლებელია მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობა ამ მუზეუმის საქმიანობაში, მაგრამ ფონდის მცველი, ქალბატონი მანანა ლომაძე იხსენებს სკოლებთან თანამშრომლობის მომენტებს წინა წლებში, ერთობლივად განხორციელებულ ღონისძიებებს. რომ განსაკუთრებით საინტერესო იყო მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიება თემაზე - „გურიის სახლის გაცოცხლება“.

შეხვედრა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ -ნაკრძალში

2018 წელი, 16 მარტი

მუზეუმი განთავსებულია კერძო სახლის ტიპის შენობაში. აქ საკმაოდ მყუდრო და კეთილმოწყობილი გარემოა დამთვალიერებლებისათვის. სამუზეუმო ექსპონატები განთავსებულია ეზოს დასაწყისიდანვე: არქეოლოგიური ნივთები, ქვაში ამოკვეთილი ქართული ჩუქურთმები და სხვა. დარბაზში კედლებზე გამოფენილია ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, სხვა ისტორიული ძეგლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1923 წელს დამზადებული საქართველოს რუკა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, რომელიც შეადგინეს ეევგენი ბარამიძემ და ივანე ჯავახიშვილმა.

სკოლებისა და მოსწავლეებისათვის ხშირად აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებს, გამოფენებს, კინოჩვენებებს. გასულ წელს მოაწყვეს შოუ „რა, სად, როდის?“ დაეხმარნენ სკოლას კითხვარების მოძიებაში, ბუკლეტების დამზადებაში, ბოლოს გამარჯვებულ მოსწავლეებს საჩუქრად გადასცეს წიგნები.

რაც შეეხება დამთვალიერებელთა რაოდენობას, 2014 წელს რემონტი ჩაუტარდა შემობას და მხოლოდ სამითვის განმავლობაში მუზეუმი ნახა 150-მა მოსწავლემ, 2015 წელს რემონტი ტარდებოდა მთელი წლის განმავლობაში. 2016 წლის რამდენიმე თვეც არ გახსნილა, შემდეგ კი - 260 მოსწავლე მივიდა დასათვალიერებლად. 2017 წელს - 502 მოსწავლე, 2018 წლის მონაცემები ჯერჯერობით არ აქვთ დაჯამებული.

ამ შეხვედრიდან ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა - ია კალანდაძემ და ფონდების მცველმა - მარიამ სკამკოჩაშვილმა შემომთავაზეს დახმარება ევროპის თემაზე პროექტის განხორციელებაში დახმარება.

დანართი № 4.

კვლევის რეფლექსია

2017 -2018 სასწავლო წელს განვახორციელე პედაგოგიური პროექტის კვლევა თემაზე - „სწავლება საბაზო საფეხურზე სასწავლო შემეცნებითი ვიზიტების გამოყენებით“.

კვლევა გავუზიარე კოლეგებს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. გაზიარება და კოლეგების უკუკავშირის მიღება ჩემი სურვილით მოხდა, რადგან სურვილი მქონდა მათი შეფასებები და რჩევები მიმეღო ნაშრომის შესახებ.

გაზიარება მოხდა ერთხელ, 13 მაისს, ქართული ენის კათედრის მორიგ სხდომაზე. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში მის ცალკეულ საკითხებზე პერიოდულად მქონდა დიალოგის ტიპის საუბრები კომპეტენტურ ადამიანებთან სხვა სკოლიდან, ასევე ჩვენი სკოლის პედაგოგებთან.

კათედრაზე კვლევის წარდგენას ინტერაქციული ხასიათი ჰქონდა. კოლეგებმა ჯერ მოისმინეს ჩემი პრეზენტაცია, შემდეგ განიხილეს მისი ნაწილები. დაინტერესდნენ, კვლევის მეთოდებით. მირჩიეს, რომ ამ ნაწილისათვის დამემატებინა დიაგრამები; ასევე მირჩიეს, ბიბლიოგრაფიის ნაწილის დახვეწა და გამოყენებული ლიტერატურის ზუსტი მითითება. უმნიშვნელო, მაგრამ გასათვალისწინებელი რჩევა იყო ისიც, რომგანსხვავებული ფერით უნდა მომენიშნა ლინკები. სხვა შემნიშვნები არ ყოფილა. კვლევის ძირითადი ნაწილი მოიწონეს და შენიშვნები არ ჰქონიათ.

ყველა მითითებაა, უკუკავშირი იყო ზეპირი ფორმის და ეხებოდა ძირითადად კვლევის სტრუქტურულ ნაწილს. დამატებითი შეკითხვები არც მე არ მქონია.

ის უკუკავშირი, რაც კვლევის გაზიარებისას მივიღე კოლეგებისგან, გავითვალისწინე და კვლევაში შევასწორე მითითებული ადგილები.

კოლეგებისაგან მიღებული რჩევები მნიშვნელოვანი იყო ჩემი პედაგოგიური განვითარებისათვის. მომდევნო კვლევის დაგეგმვისას აუცილებლად გამოვიყენებ ამ რჩევებს.

დანართი № 5.

სასწავლო - შემეცნებითი ვიზიტი ეგნატე ნინოშვილის სახლ - მუზეუმში

პროექტის სახელი - „არა ხარ დავიწყებული“

პროექტის მიზანი - 1. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა.

2. მუზეუმში დაცული მასალების დათვალიერება;

3. საქართველოს ეროვნულ - კულტურული ძეგლების მიმართ ცნობიერების ამაღლება;

გრძელვადიანი მიზანი - 1. მოსწავლეები აიმაღლებენ ცნობიერებას როგორც საერთოდ ქვეყნის, ისე ჩვენი კუთხის ეროვნულ - კულტურული ძეგლების, მათი დაცვის, გამოყენების შესახებ;

მოკლევადიანი მიზანი - 1. მოსწავლეები გაეცნობიან ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიას, წაიკითხავენ მის მოთხრობებს;

2. ეწვევიან მწერლის სახლ - მუზეუმს.

პროექტის აქტუალობა -

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიზანია: „ ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება“. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ავუმალლოთ ცნობიერება საქართველოს ეროვნულ - კულტურული ძეგლების მიმართ. საქართველოში მრავლად გვაქვს კულტურული ღირებულებების მქონე ძეგლები. ჩემი მოსწავლეებისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანი უნდა იყოს ეგნატე ნინოშვილის, როგორც მწერლისა და ღირსეული მამულიშვილის, შემოქმედი ადამიანის ცხოვრების, მოღვაწეობის გაცნობა, მწერლისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება; მისი დაცვისა და პოპულარიზაციისათვის თავისი მცირედი წვლილის შეტანა საერთო

ეროვნულ საქმეში. მით უმეტეს, რომ ეგნატეს სახლო - მუზეუმი ჩვენგან ტერიტორიულად არც ისე შორს არის. შესაძლებლობა გვაქვს ხშირად მივიდეთ, დავათვალიეროთ, გამოვიყენოთ იქ არსებული სივრცე და პროფესიონალი პერსონალი განსხვავებულ სასწავლო რესურსად.

უკანასკნელ წლებში „ლიტერატურული კანონის“ შეცვლის გამო სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებულია ამ მწერლის ნაწარმოებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ერთერთი საუკეთესო რეალისტი მწერალი, მის მიერ შექმნილი მოთხრობები დავიწყებას მივცეთ. ჩვენი ვალია, მოსწავლეებს ვასწავლოთ ამ ღირებულებების სწორად შეფასება, პატივისცემა, მათ დაცვასა და შენარჩუნებაზე ზრუნვა; ჩამოვუყალიბოთ ამ განძის არსებობით გამოწვეული სიამაყის გრძობა.

მოსალოდნელი შედეგი : 1. მოსწავლეები აიმაღლებენ საქართველოს ეროვნულ - კულტურული ძეგლების მიმართ ცნობიერებას;

2. წაიკითხავენ მწერლის ბიოგრაფიას, ნაწარმოებებს, გამართავენ დისკუსიას;

3. გააკეთებენ ექსკურსიას მწერლის სახლო - მუზეუმში.

პროექტში ჩართული პედაგოგები - რუსუდან პაქსაძე, ნანა ჩხარტიშვილი, რუსიკო კუპრაძე, გია მახარაძე, ნუგზარ მახარაძე, ავთანდილ კილაძე.

პროექტში ჩართულ მოსწავლეთა ასაკი - 5-9 კლასი, 10 - 15 წლის მოსწავლეები

პროექტის განხორციელების ვადა - 20 აპრილი - 18 მაისი

პროექტის ამოცანები -

1. მოსწავლეების ინფორმირება, პროექტის დაგეგმვა;

2. პროექტის გეგმის შედგენა, განხორციელების ვადების მინიშნება, მოვალეობების გადანაწილება;

3. მონიტორინგის დაწესება ამოცანების განხორციელებაზე;

4. პროექტის ძირითად ნაწილზე მუშაობა;

5. ექსკურსია;

6. პროექტის შეჯამება, რეფლექსია.

საგნებთან/საგნობრივ ჯგუფებთან /ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი -

ქართ. VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება;

ქართ. VII. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება

ქართ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე

ქართ. VIII. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება

ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება

ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მნატვრული და არამნატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა

ქართ. IX. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება

პროექტის სარგებელი მასში ჩართული მოსწავლეებისათვის - მოსწავლეებმა წაიკითხეს ეგნატე ნინოშვილის შესანიშნავი ნაწარმოებები; გაიუმჯობესეს წაკითხულის გააზრების, გაანალიზების, ასევე მსჯელობის, პრეზენტაციის, აუდიტორიის წინაშე გამოსვლის უნარ-ჩვევები;

პროექტის ფასილიტატორი - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - რუსუდან პაქსაძე

ელ. ფოსტა - rusiko1214@gmail.com

დანართი №1. აქტივობების ჩამონათვალი:

№? აქტივობა პასუხისმგებელი პირი განხორციელების დრო

1 განსახორციელებელი აქტივობების, აქტივობის მიზნის, განხორციელების ვადებისა და საჭირო რესურსის დადგენარუსუდან პაქსაძე 20 აპრილი, 2018 წელი, პარასკევი

2 საკითხავი მასალის მოძიება, დამუშავება:

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები, ზოია ტულუშის - „მოგონებები ნინოშვილზე, გურული დიალექტები“ რუსუდან პაქსაძე,

ნანა ჩხარტიშვილი 27 აპრილი, 2018 წელი, პარასკევი- 15 მაისი, 2018 წელი

3. მონიტორინგი პროექტით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე რუსუდან პაქსაძე,

ნანა ჩხარტიშვილი

გია მახარძე 30 აპრილი -- 17 მაისი, 2018 წელი

3 მზადება ლიტერატურული გასამართლებისათვის, დისკუსიისთვის , ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიული ცნობების მოძიება - გაცნობა მწერლის შემოქმედების, ნაწარმოებთა ძირითადი თემატიკის სწორად გააზრება რუსიკო კუპრაძე, რუსუდან პაქსაძე 15-17 მაისი, 2018 წელი

4 ექსკურსიის მოწყობა

მწერლის სახლ - მუზეუმის დათვალიერება, მწერლის შემოქმედების შესახებ დისკუსიის გამართვა, თამაშების წარმართვა : პროექტის მონაწილე მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები (სურვილის მიხედვით) 18 მაისი, 2018 წელი

5 ვიქტორინა - ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები რუსუდან პაქსაძე, ნანა ჩხარტიშვილი 18 მაისი, 2018 წელი

6 სპორტული გასართობი თამაში

„წრეში ბურთი“ გაი მახარაძე, ავთანდილ კილაძე 18 მაისი, 2018 წელი

7 გასართობი თამაში - „იღბლიანი ბორბალი“ ნუგზარ მახარაძე, 18 მაისი, 2018 წელი

8 ფოტო და ვიდეო მასალების გადაღება გაი მახარაძე 18 მაისი, 2018 წელი

9 პროექტის შეჯამება

რეფლექსიების დაწერა, გამოფენის მოწყობა, ფოტო და ვიდეო მასალების გადარჩევა, გამოქვეყნება. პროექტში ჩართული მოსწავლეები და მასწავლებლები 21 მაისი, 2018 წელი

მონიტორინგი პროექტის მიმდინარეობაზე

Nº მონიტორინგი პროექტით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე პასუხისმგებელი მასწავლებელი დრო

1 ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიის ერთობლივი კითხვა, მოთხრობები - შინ წასაკითხად რუსუდან პაქსაძე 30 აპრილი, 2018 წელი

2 რუსუდან პაქსაძე 2 მაისი 2018 წელი

3 ნანა ჩხარტიშვილი 7 მაისი, 2018 წელი

4 რუსუდან პაქსაძე 11 მაისი, 2018 წელი

5 პრეზენტაციის მომზადება, სლაიდშოუ - ეგნატე ჩვენი კუთხის სიამაყე გაი მახარაძე 15 მაისი, 2018 წელი

6 ლიტერატურული გასამარლება - მოთხრობა „პარტახის“ პერსონაჟები - მელანია და მისი ოჯახის წევრები“, სადისკუსიო თემის მზადება - „ქალთა უფლებები მოთხრობა „განკარგულების“ მიხედვით რუსიკო კუპრაძე 4, 14, 15 მაისი, 2018 წელი

7 დისკუსიისთვის მზადება რუსუდან პაქსაძე

1.

რეფლექსია

2017 -2018 სასწავლო წელს ჩოჩხათის საჯარო სკოლასა და ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმს შორის გაფორმებული იყო თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმით გათვალისწინებული გეგმის თანახმად დაგეგმილი გვქონდა ექსკურსია და ღონისძიების მოწყობა მუზეუმის დღისათვის. ამ შეხვედრისათვის საგანგებოდ მოვემზადეთ. მოსწავლეებთან და რამდენიმე მასწავლებელთან ერთად დავგეგმე პროექტი, რომელიც რამდენიმე ამოცანის გადაჭრას ითვალისწინებდა: მოსწავლეები მოიძიებდნენ, წაიკითხავდნენ და დაამუშავებდნენ ასალებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ; მოაწყობდნენ დისკუსიას; გააკეთებდნენ ექსკურსიას მწერლის სახლ - მუზეუმში.

პროექტში ჩაერთო რამდენიმე მასწავლებელი, თუმცა ამათგან მოგვიანებით ზოგიერთი გამოეთიშა დროის უქონლობის გამო

პროექტის მიზანი იყო:

- 1. საქართველოს ეროვნულ -კულტურული ძეგლების მიმართ ცნობიერების ამაღლება;
- 2. მუზეუმში დაცული მასალების დათვალიერება;
- 3. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა.

1. მოხერხდა თუ არა დასახული მიზნების მიღწევა? - ვფიქრობ, პროექტის მიზნები მიღწეულია. მოსწავლეებმა წაიკითხეს, გაიაზრეს ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებები, გაიუმჯობესეს სხვადასხვა უნარები, როგორცაა მსჯელობა, პრეცენტაცია, წაკითხულის გააზრება და სხვა.

2. რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად? - ყველა აქტივობა წარვმართეთ გეგმის შესაბამისად. მოსწავლეები ჩემთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები პროექტის მონიტორინგში.

3. რომელი ვერ განხორციელდა და რატომ? - ზოგიერთმა მოსწავლემ ვერ მოასწრო ყველა ნაწარმოების წაკითხვა კითხვის პრობლემების გამო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი მუშაობისათვის, რადგან მათ წაუკითხავი მოთხრობების შინაარსი შემაჯამებელ მეცადინეობზე მაინც გაიგეს სხვების მონათხრობიდან.

ასევე, დაგეგმილი მქონდა ლიტერატურული გასამართლება მოთხრობა „პარტახის“ მიხედვით, მაგრამ წარმოდგენა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ მოვახერხეთ შესაბამისი გარემოს, ინტერიერის შერჩევა და მოსწავლეთა კოსტიუმირება.

4.რომელ კომპონენტში იყო პროექტი ყველაზე წარმატებული და რატომ? პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ექსკურსია. მოსწავლეებმა დაათვალიერეს მწერლის სახლი - მუზეუმი, სამზადი, ხელო;

მოისმინეს მუზეუმის თანამშრომელთა საინტერესო საუბრები, მათთან ერთად ითამაშეს მხიარული გასართობი თამაში - „იღბლიანი ბორბალი“. განსაკუთრებით საინტერესო იყო მუზეუმის სხვა სტუმრების ჩართულობა ჩვენს ღონისძიებაში. ჩიბათის სკოლის კულტურის სახლის თანამშრომლებმა არაჩვეულებრივი დახვეწილობითა და პროფესიონალიზმით შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები, საგალობლები. ბავშვებთან ერთად ითამაშეს თამაშობები, გაგვამხიარულეს თავიანთი იუმორებითა და საინტერესო მონათხრობებით.

5.რას გავითვალისწინებ სამომავლოდ - ამ პროექტის განმეორებით დაგეგმვისას მოსწავლეებს ეგნატე ნინოშვილის სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ამოვაკრებინებ საინტერესო ეპიზოდებს, დავენმარები მათ გასცენარებასა და როლოურ გათამაშებაში.

დანართი N°2. პროექტის ამსახველი ფოტოები:

სცენარი - შემაჯამებელი ღონისძიებისათვის

ეგნატე ნინოშვილი მე-19 საუკუნის ნიჭიერი რეალიტი მწერალი - ღირსეული წარმომადგენელია ქართული მწერლობისა. იგია გასული საუკუნის გურიის ცხოვრების მესტიყვე, „ღამეულ ქოხთა სინათლე, ბედშავი კერის ღაღარი“.

სიღარიბე სდევდა თან მწერალს. მატერიალოურმა სიდუხჭირემ, ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე. ჭლექმა ნაადრევად დაადუმა მისი აბორგებული სული. მას ცხოვრება უყვარდა და უფრორე ადამიანი. იგი შინაგანად ვერასდროს ეგუებოდა ადამიანის უფლებების დარღვევას, პიროვნების შეურაცხყოფას, კაცის ღირსების ფეხქვეშ გათელვას. სიმართლის ძიებამ და პროტესტმა დააწერინა მოთხრობები - „ქრისტინე“, „პარტახი“, „სიმონა“, „გოგია უიშვილი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „პალიასტომის ტბა და სხვა მოთხრობები.

მწერლის მიერ დახატული ყმა - გლეხები - ივანე, ნიკო, ზალიკა, სიმონიკა, გოგია და სხვები, ტრაგიზმით აღსავსე მათი ცხოვრება შთამბეჭდავია დღესაც. მწერალს არ დასცალოდა სრულყოფილი განათლების მიღება რასაც მუდამ განიცდიდა. მას არ აკმაყოფილებდა თავისი ცოდნა. შინაგანად გრძნობდა, რომ გაცილებით უკეთ შეეძლო წერა.

ნინოშვილის თვალებიდან მუდამ სევდიანი სხივი კრთოდა. იგი იყო მარტოობით და გაუხარელი ცხოვრებით გულნატკენი. ამასთან ერთად იყო ამაყი, ფიზიკურად სუსტი, მაგრამ სულიერად რაინდი, ჭლექიანი, მაგრამ სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული.

აღიარება სიცოცხლეშივე არ მოჰკლებია მწერალს. მისი ყველა ნაწარმოები დაუბრკოლებლივ იბეჭდებოდა . ბევრი თბილი სიტყვა იწერებოდა მაშინდელ ჟურნალ - გაზეთებში, მის დაკრძალვაზე.

ხალხს, საზოგადოებას უყვარდა ნიჭიერი მწერალი, ცხოვრების შეუღალამაზებლად ამსახველი ადამიანი, გაჭირვებულის, დაჩაგრულის გულშემატკივარი.

ეგნატე ბავშვობიდან ძლიერ სუსტი, ნაზი, სათუთი ბავშვი ყოფილა. ნიჭიერი, ზრდილობიანი. ეგნატე სოფლის სკოლაში სწავლობდა. ერთხელ წიგნის საყიდელი ფული დასჭირვებია. ამის საშოვრად ეგნატეს მამა წასულა ფოთში. ერთი თვე უმუშავია, შინ ნახშირსა და მაზუთში ამოგანგლოული დაბრუნებულა. მიუცია ეგნატესთვის ფული და უთქვამს: აი, შვილო, ჩემი ერთი თვის ნამუშევარი და იყიდე წიგნიო. ასე ძნელი საშოვნელი ყოფილა მაშინ ფული.

ეგნატე პირველ მოწაფედ ითვლებოდა სკოლაში. ყველა საგანს ადვილად ითვისებდა. განსაკუთრებით კარგად სწავლობდა მათემატიკას. ეს საგანი თურმე ყველას უჭირდა. ეგნატე არასდროს იზეპირებდა გაკვეთილს, ისე როგორც სხვები. სკოლაშივე ასწრებდა კაკვეთილების დასწავლას. ერთი წლის განმავლობაში ორი კლასის მასალა ჩააბარა და მესამე კლასში დასვეს. მაინც მოწინავე იყო სხვებთან შედარებით. ყველაზე კარგად სწავლობდა. სასწავლებელშივე აიმაღლა ხმა უსამართლობისადმი. სკოლის ხელმძღვანელობა თურმე შეშის ფულს იჯიბავდა. მოსწავლეები სიცივით კანკალებდნენ. ეგნატემ სხვებთან ერთად მოსთხოვა:

- ბატონო, თუ თქვენ ნებას მოგვცემთ, შეშას ჩვენ თვითონ მოვიტანთ და სიცივით არ დავიხოცებთო. დეკანოზი ასეთმა თავხედობამ განარისხა. თანაც გლეხის შვილისგან. ეგნატეს თვალები გადაუბრიალა და დაუღრალა:

- შე გლეხის შვილო, შე უბადრუკო, შენ უღირსო, შენ უმადლარო. შინაყმის შვილს ქვითკირის შენობაში გელირსა ყოფნა და აქ რა გიჭირს. სხვები თუ პატიოსანი მღვდლის შვილები არაფერს ჩივა, შენ რას ბედავ, შე ძაღლის გასხლეტილოო.

მოსწავლეები უკმაყოფილონი ყოფილან ერთერთი მასწავლებლისა და ეგნატესთვის უთხოვიათ დახმარება. მათ უნდოდათ თავიდან მოეშორებინათ ლოთი, უცოდინარი, აბეზარი , ხეპრე მათემატიკისა და გეოგრაფიის მასწავლებელი. ამის გამო ისევ განისხდა დეკანოზი:

- თქვე გველის წიწილებო, ძაღლის გასხლეტილებო, რას ბრანდავთ, თქვენ ვი

ეგნატეს კი უთხრა:

- შე გლეხის შვილო, მოჯალაგის ნაშიერო, ჭიაყელაი გველს რავა ეზმანები. მთელი კლასის მაგიერ შენ რავა ადვოკატობ. მე მაგას არ შეგარჩენ.

მოსწავლეები ერთ დღესაც გაიფიცნენ და სკოლაში არ მივიდნენ. ამ ამბის გამო ეგნატე და მისი ერთი მეგობარი სკოლიდან დაითხოვეს. მოგვიანებით, ერთერთი მასწავლებლის დახმარებით ეგნატე აღადგინეს.

ეგნატე ოზურგეთში სწავლობდა. მას ბინის დაქირავება არ შეეძლო, ამიტომ მღვდელ მამამე თოთიბაძის ქვრივის ეზოში, ფაცხაში ცხოვრობდა. ახლო-მახლო ფიჩხს აგროვებდა, მჭადი, ყველი, მისაჭმელი სახლიდან მოჰქონდა ზურგით. მჭადს თვითონ აცხობდა. ზოგჯერ, თუ მისაჭმელი არაფერი ჰქონდა, მარილს აწებდა მჭადს და ასე იკვებებოდა. ღამე ფიჩხით ინათებდა და ასე ამზადებდა გაკვეთილს. ნავთი ვის ჰქონდა, რომ მას ჰქონოდა. არც საპონი იშოვებოდა.

ეგნატეს მოთხოვნების გმირებს ყველას ჰყავს თავისი პროტოტიპი ცხოვრებაში.

სიმონა - სისონა დარჩიაა, ფირალი;

კაცია მუნჯაძე - ერთერთი მცხოვრები გლეხია წყალწმინდიდან, გოგია, მელანო, ივანე -ქრისტინე, დავით დროიძე, ტარიელ მკლავაძე რეალური ადამიანები არიან, ოღონდ სახელშეცვლილები.

მისი ოჯახის შესახებ ბევრ რამეს ყვებიან თანასოფლელები და ახლობლები. ყველა ინგოროყვა თურმე იყო დიდად ნამუსიანი, მშრომელი, და რაღაც თავისებური. იცოდნენ საუცხოოდ საჭმლის მომზადება. ინგოროყვების ღომი ცნობილი იყო სასახლესა და ეპისკოპოსის სუფრაზე, საგანგებოდ მიჰქონდათ.

გარეგნულადაც განსაკუთრებულები იყვნენ ინგოროყვები. სახით ყველა ლამაზი მოყვანილობის, კარგი მონადირე და ვაჟკაცი ადამიანები.

ხმამალა ლაპარაკს ვერავინ გაიგონებდა მათ ოჯახში. ერთიმეორე უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ბიჭები ერთიმეორეს სახელს კი არ ეძახოდნენ, არამედ „ბიჭოს“. დებისთვის იცოდნენ დაძახება - „ციცავ“. ქალები იყვნენ ლამაზი, სანდომიანი, ზრდილობიანი, დარბაისელი. იცოდნენ ყველანაირი ხალხური სიმღერა.

ეგნატეს დედა ადრე გარდაეცვალა. ეგნატე მხოლოდ ორი წლისა იყო. მას მამიდები ზრდიდნენ. განსაკუთრებით ზრუნავდა მამიდა ნინო.

ნინო კარგი მეოჯახე, შრომისმოყვარე ქალი ყოფილა. სცოდნია ქსოვა, ამიტომ იგი არა მარტო ოჯახის წევრებს, არამედ სხვა ახლობლებსაც უქსოვდა ხოლმე ჩასაცმელს, შალს. შეეძლო კერვაც. თუმცა ქსოვილი იშვიათად იშოვებოდა და ძვირიც იყო, ვერ ყიდულობდნენ.

(სცენაზე შემოსი ეგნატეს ბიძა - 1. ალექსი ინგოროყვა. აცვია ჩაქურა ტანსაცმელი, ფეხზე - საცვეთები(მესტები). ესაუბრება 2. მეორე, მესამე ადამიანს

1.ალექსი - ჩემი ძმისწული ეგნატე ინგოროყვა ამ კუთხე - მუხუროში გამოზრდილია. იგი გლენთა ცხოვრების „მოშაირე“ - განიდან სეირის მაცქერალი და „მიულოცავი ქორწილის მაყარი“ კი არ ყოფილა, სისხლი სისხლოთგანი იყო გურული გლენისა, მისი ყოფა -ცხოვრების, ლხინის და ჭირის მოზიარე.

2. ჩვენებური გლენი ძლიერ თავმომწონეა. „ბედაური ცხენი მათრახს არ დაირტყამსო“, -უთქვამს ძველებს და გურულიც „ბედაურობას“ ცდილობდა.

3.აბა რა! თავმომწონ გლენი აზნაურის ქალს ირთავდა, ჩაცმა-დახურვაშიც აზნაურს და თავადს ბაძავდა, თავადაზნაურობის სტუმრობით თავს იწონებდა.

1.არც ჩვენი ინგოროყვების ოჯახი დარჩენილა ვალში გურიელების წინაშე. ჩვენს ოჯახში ისეთი ლხინი გამართულა, დიდხანს იყო სალაპარაკო გურიელების სტუმრობა ჩვენთან. ნატენ-ნაკრეფს გურიელებმა ოთხდღიანი ვიზიტები იცოდნენ. თან ახლდათ მზარეულები და მოსამსახურეები. გურიელების ერთმა მზარეულმა ჩვენს ლეკვს შემთხვევით ფენი დაადგა და შემოაკვდა. ამ შემთხვევის გამო გურიელები გაურისხდენ თავიანთ მზარეულს.

3.სუფრას ირმის ცვრიანი მწვადები ამშვენებდა. ის იყო, მასპინძლობით კმაყოფილი გურიელები წასვლას აპირებდნენ, რომ შვიდი დადიანი მიემატა სტუმრებს.დაიკლა კიდევ საკლავი. დადიანებმა ჰკითხეს გურიელებს: ინგოროყვები კიდევ გლენათ სწერიაო?

2. ჩვენი ოჯახი მონადირე იყო. ვიცოდით მოსაკითხი ნანადირევი გურიელებისთვის. კვერნის და წავის ტყავიც მიგვიკითხავს. აგი კი ნამეტანი უყვარდათ გურიელებს.

1.ჩემი ძმისწული ეგნატე აზნაურ ბესარიონ ჭყონიასა და რუსუდან გიგინეიშვილის ქალს მოვანათვლინეთ. ასე, რომ ჩვენ თავადაზნაურობასთანაც გვქონდა „შტოი.“

(ისმის ძახილი)

მსახური -? -ალექსი, ალექსი! გამეიხედე გარეთ! ნახე ვინ მოვიდენ აი საპატიო სტუმრები!

1 სტუმარი.-გამარჯობათ ყველას!

2 სტუმარი - კაი სიკეთე და სიხარული აქა!

ალექსი - მობრძანდით, ჩემო ბატონო! მობრძანდით! აგერ მესვენეთ ჩდილოში, თავი შეიქციეთ სანამ სუფრა გაწყვებოდეს...

(სტუმრები ჩამოსხდებიან. ისინი იხსენებენ შაირობას და ლექსობას, რომელსაც გურიელები „სალმუნობას“ ეძახდნენ).

I სტუმარი - ატატო ბებურიშვილი გახსოვს?

II სტუმარი - გურიის განთქმული მოლექსე? ეგ ვის არ ახსოვს, შე კაცო!

I სტუმარი - ჰოდა, ატატო ბებურიშვილის ძმა ბებურ ბებურიშვილი სტუმრებია თურმე დათა გურიელის ცოლს - ნინოს.

ნინოს ჩონგურზე დაუმღერებია:

ნინო გურიელი - ბებურ ბებურიშვილი ხარ, ჩემსას სტუმრედ მოსული ხარ,

არშიყობას დასთხოვიხარ, ისთეი მოხუცებული ხარ.

II სტუმარი - მერე გახსოვს ბებურმა რა უთხრა?

ბებურ ბებურიშვილი - „ბებურ ბებურიშვილი ვარ, თქვენსას სტუმრად მოსული ვარ,

არშიყობას ვერ გიბედავ, ისთეი მოხუცებული ხარ,

კუდირინწკი რომ მომკვდარა, მაშინ დაბადებული ხარ.”

I სტუმარი - ჰი, ჰი, ჰი, არ გინდა, ბიჯო, ამფერი ქათინაური უთხრა გურიელის ქალს? მარა ბებური ვის დაზოგავდა. მაშინ იყო, თუ იყო ენაკვიმატი სიტყვის დაფასება...

III სტუმარი - არ ვიცი თქვენ თუ გახსოვთ, მარა მე მამაჩემიდან გამიგონია:

- ერთხელ გურიელებისას ქეიფი ყოფილა, თუმცა როის არ იყო იქინეი ქეიფი... ჰოდა, შემოიტანეს მაგიდაზე ხილეული: ვაშლი, მსხალი, ოტური. თამადამ ბრძანა: ვინ იტყვის ზმას მსხლის, ვაშლისა და ოტურის შესახებო. აგი ზმა ექსპრომტათ უნდა თქმულიყო. ყველა გაჩერდა. ბოლოს ნება ითხოვა მოხუცებულმა გიგინეიშვილმა. (აწნაური იყო მაგი). ჰოდა, თქვა ასეთი ზმა.

გიგინეიშვილი - „დამისხ ალისფერი ღვინო, შემიღებავს წითლად ბაგეს,

ვერ დაულევ, აშლილი ვარ, ღვინოს ამ ჩემს ამხანაგებს.

რომ ვიშოვო ტურის ტყავი, ვინ დამიცლის ჩით - ფარდაგებს.

IV სტუმარი - თქვენ თუ გაგიგონიათ ლექსობას, შაირებით გართობას რას უძახოდენ გურიელები?

-(არავინ პასუხობს)

- IV სტუმარი - გურიელები გართობის ამბების ლექსობით მოგონებას, სალმუნობას ეძახდნენ.

ოთხსტრიქონიანი შაირი ოთხ კაცს უნდა შეედგინა. ერთი ასეთი სასალობუნო ლექსი ვახტანგ, ჯაბა, ტელმაკ გურიელებს და მათ მოურავს შეუთხზვს,

რომელიც ძალზე უხეირო გამოსვლიათ. ეგნატე ნინოშვილი მათ უნიჭო მელექსეობას „ჯამბაკურიზმს“ უწოდებდა. სცოდნია დაცინვით მათი დეკლამაციის მიბაძვით წართქმა და ბევრსაც იცინოდა თურმე.

V სტუმარი - ცხონებული ეგნატე მოსწრებული სიტყვა-პასუხით იყო ცნობილი.კამათში მწვავე იუმორი და სხარტულა პასუხები ეხერხებოდა. მან სახუმარო ანეგდოტების „მარილიანად“ თქმაც იცოდა.

პირველ ხანებში ლექსების წერას ეტანებოდა , მაგრამ მალე დაუუნებებია თავი. ერთი რვეული სავსე ჰქონია ლექსებით და თვითონვე დაუწვავს, აღარ მოსწონებია.

VI სტუმარი - კაი იქნებოდა, გაგვეხსენებია ეგნატეს სახუმარო ლექსობაც.

ჩოჩხათში რომ შეემთხვა ამბავი, ყველას გექნებათ გაგონილი. მატა კუპრაძე - ვასაძის ცოლი მოსწონებია სისხლმაჭარა ეგნატეს. მას ასეთი ლექსი გაუგზავნია ქალისთვის:

- ბუს რა ჰქვია - იწინკორა, და მეგრულეზრ იხვსა - კვატა,

კაკალ გულზე დაგებლატე, ჩემო ჩაკვანწულო მატა!

ისევ VI სტუმარი (აგრძელებს) - ეგნატემ დაიანლოვა მატა და ქალს მისგან შვილიც ეყოლა. ეს ამბავი რომ არ „გახრიალებულიყო“, ეგნატე იძულებული შეიქნა, ჩოჩხათიდან წამოსულიყო.

VII სტუმარი - ეგნატეს შემდეგ ჩოჩხათში მასწავლებლად სიმონ ჭუმბურიძე ყოფილა. ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ სიმონსაც შეყვარებია ერთი ჩოჩხათელი ცოფანო კაცის ცოლი. მღვდლის რძალი. მღვდელს შვილიშვილი უნდოდა. იცოდა, მისი შვილისგან არაფერი გამოვიდოდა. სიმონი მან დაუახლოვა თავის რძალს. ეგნატემ ამ ამბავზე ლექსი გამოთქვა. აი, ეს ლექსიც:

ეგნატე - გადირია ჩვენი მღვდელი, დაპატიჟა „უჩიტელი“,

მას მიაართვა ღვინო ძველი, სთხოვა, რძალს შემირე ხელი”.

- ეგნატეს ფილოსოფიური ლექსიც დაუწერია. ყოველ დროში ამართლებს ეს სტრიქონები. როგორ იყო, შემახსენეთ ერთი...

დროსა შევესწარ ასეთსა, გულს ცეცხლი გამივარესდა,

აღმასით სჭედენ ვირებსა, დაადგმენ ოქროს ნალებსა,

ბედაურ ცხენებს კურტანქვეშ სცვეთენ, ვინ შეიბრალებსა”

- ბედაურები მუდამ უყურადღებოთ იყო და უძალლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენ. ახლაც ასე არაა?

VI სტუმარი - თუ გახსოვთ, ეგნატეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცუნუ ჟორდანამ დაწერა ჩონგურზე დასამღერებელი მშვენიერი სიმღერა. ავტორი ლექსისა უცნობია, რადგან მას ჩამოურთმევია ცუნუსთვის პირობა, არავის გაუმხილო, ვისი დაწერილია, სჯობს ხალხის სახელით დარჩესო. აი, ეს ლექსიც, რომელსაც ცუნუ ჩონგურზე ამღერებდა:

- მახსოვს, ეგეც მახსოვს:

„აღარ გყავს ჩვენი ეგნატე, ხალხისთვის თავდადებული,
ჭკუით, გონებით, სიმართლით, პატიოსნებით ქებული.

ჩანჩეთის მიწამ დაფარა მისი მოწყალე გულიო,

და მაინც, მისი ნაფიქრი არ არის დაკარგულიო.

ცეცხლს სულ არ გაუჭირდება დადნობა თაფლის სანთლისა,

მაგრამ არასდროს მოკვდება მწერალი, მთქმელი მართლისა.

არ ეღირსება მისთვალეხს ნახვა მზიანი დილისა,

იტირე, ჩემო გიტრავ, სივდილი ნინოშვილისა.

გურიის მთებმაც გაიგეს დაკარგვა მკვიდრი შვილისა,

ეკლიან გზაზე ავალის, სიმწარით გამოზრდილისა.

აღარ ეღირსა დაჩაგრულს ნათება მზიურ დილისა,

იტირე, ჩემო გიტარავ, დაღუპვა ნინოშვილისა.”

შემოდის ეგნატე (აცვია შავი შარვალ-კოსტუმი, თეთრი პერანგი, ჰალსტუხი უკეთია) მიმართავს ხალხს:

ეგნატე - ჩემო დიდი ხნის მონატრებულო გურულებო! მეზობლებო, თანასოფლელებო, 35 წელიწადი ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე და დღეს, 159 წლისამ, ისევ თქვენ მოგაშურეთ.

რა ქართველებითა და საოცრებებით სავსე წლები გასულა, ვერც კი წარმოვიდგენდი. რას ვიფიქრებდი, თუ განუვითარებელი კაპიტალიზმი იმგვარივე სახით დამიხვდებოდა, როგორაც დავტოვე, ისეთივე დაუწყობელი და იმგვარივე აულაგებელი. ისევ უმუშევრობა და სიღარიბე, ისევ ტკივილი და გულგატეხა, ცხოვრების მძიმე მარწუხები...არც მე და არც ჩემი სახელობის მუზეუმს ბედი არ ჰქონია. უძრობაში, უკიდურეს გაჭირვებასა და გულგატეხილობაში გაუვლია აქ ათწლეულებს.

მასპინძელი - წელს სიანლები და პერსპექტივები ელოდება მუზეუმს - ახალი საგამოფენო შენობის აგების საკითხი უნდა გადაწყდეს. ახალი პროექტის შესახებაცარის საუბარი.

ეგნატე - ძველი გურული საცხოვრებელი დ სამეურნეო ნაგებობების, მეურეობის ძველი დარგების აღორძინება გადაგიწყვეტიათ ჩემს მამაპაპეულ საცხოვრისში.

მასპინძელი - ასეა, ასე!

ეგნატე - გულით გამახარა თქვენმა მონდომებამ. მინდა მადლობა მოვახსენო ყველა თქვენგანს, რომ გახსოვართ, რომ ცდილობთ შეინარჩუნოთ სიძველეები, გურული ყოფა, ფოლკლორი, ჩემი ნაწერები და ყველაფერი, რასაც კულტურული მემკვიდრეობა ჰქვია.

მასპინძელი - აბა თქვენზე უკეთესი ვინა გვყავს, ეგნატე-ბატონო?

ეგნატე - გაიხარეთ, როგორც დღეს მე გამახარეთ თქვენი ყურადღებითა და სიყვარულით. მრავალჟამიერ ყოფილიყოს გურიისა და გურულების სადიდებელი ამ ქვეყანაზე.

მასპინძელი - ძმებო ერთი -ორი სიმღერაც მოვისმინოთ ახლა და მერე სუფრას მივუსხდეთ მამა-პაპურად!

სხვები - კარგია, კარგი!

სხვები - სწორედ კარგი დროისაა, მოდით, გოგოებო, თქვენი ტკბილი ხმა გაგვაგონეთ.